ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 15 დეკემბერი, 2009 №321 (5062) ფასი: 30 თეთრი

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

# ქვეყანაში ეპიდემია უნდა გამოცხადდეს



გვ.2

## იანვრის დასაწყისში ღორის გრიპის პიკს ველოდებით

გვ.2



## 12 წლის ბავშვებს აღარ დაიჭერენ

გვ.4

## პრეზიდენტი ფარმაცევტულ კომპანიებს ფასების ხელოვნურ ზრდაში ადანაშაულებს

გვ.2

## „ბაღაფშის გაპრეზიდენტებას აფხაზები ეწინააღმდეგებიან“

გვ.3

აფხაზური ოპოზიცია საპროტესტო აქციებით იმუქრება

## გაზაფხულზე მესამე დამასრულებელი საპროტესტო ტალღა აგორდება



გვ.2

## ბაღაფში მოსკოვის მითითებებს ბოლომდე არ შეასრულებს

გვ.5



## აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები უკანონოა

გვ.4



## „ცოტნე გამსახურდია არსებული ხელისუფლების ტყვეა“

გვ.7



გვ.4

## დაუშვებელია ფარმაცევტულ ბაზარზე მონოპოლისტების არსებობა

ევროობლიგაციების ბედი გაურკვეველია



## რა კრიტერიუმებით არჩევს სააკაშვილი შესაწყალებელ პატიმრებს

გვ.7

შეწყალების კომისიას არავინ არაფერს ეკითხება

## პატრიარქი და ირინა ენუქიძე საუკეთესო უფლებათა დამცველებად დაასახელეს

გვ.6

2 წეროვანში ძლიერმა ქარმა სკოლის შენობას სახურავი გადახადა

3 სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ საპენსიო სესხის ოდენობას ზრდის

2 ინფექციური საავადმყოფო და სეფსისის ცენტრი აუქციონზე გაიყიდება

5 ბათუმში საავიაციო ბომბი იპოვეს

## გაზაფხულზე მესამე დამასრულებელი საპროტესტო ტალღა აგორდება

დაიცავი საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა, გაერთიანებული ოპოზიციის 2008 წლის საპრეზიდენტო კანდიდატმა ლევან გაჩეჩილაძემ საქართველოში ახალი საპროტესტო მოძრაობის დაწყების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა და 2010 წლის გაზაფხულისთვის, ხელისუფლების შეცვლის პირობა დადო.

ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით, ეს იქნება ქვეყანაში დაწყებული მესამე და



დამამთავრებელი საპროტესტო გამოსვლები, რომელსაც ხელისუფლების შეცვლა მოჰყვება.

— ოპოზიციამ ყველანაირი ფორმა სცადა, რათა მშვიდობიანი აქციებით, მშვიდობიანი მოთხოვნებით, ადამიანის უფლებებთან, კეთილდღეობასთან, დასაქმებასთან თუ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული საკითხებით, ჩვენ გამოგვეხატა ჩვენი ბრძოლა, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ძალიან მალე, ზამთრის დასასრულს და გაზაფხულის დასაწყისში, საქართველოში მესამე, დამამთავრებელი ტალღა დაიწყება, რომელიც არსებულ ძალადობასა და კრიმინალიზაციას დაასრულებს, — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ხელმძღვანელმა აღნიშნული განცხადება სამეგრელოში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.

**მედიანიუსი**

## ინფექციური საავადმყოფო და სეფსისის ცენტრი აუქციონზე გაიყიდება

25 დეკემბერს ინფექციური საავადმყოფო და სეფსისის ცენტრი აუქციონზე გაიყიდება.

როგორც „პირველს“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განუცხადეს,

აუქციონზე თბილისში, ალ. ყაზბეგის 16-ში მდებარე 18 ერთეული შენობა-ნაგებობა და მათზე დამაგრებული 58 175 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გაიყიდება, რომელზეც ამჟამად სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“ და შპს „ქალაქ თბილისის სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი“ ფუნქციონირებს.

ცნობისთვის, ეკონომიკის სამინისტრომ ინტერესთა გამოხატვა საქართველოს რესპუბლიკური საავადმყოფოს გაყიდვის თაობაზეც გამოაცხადა.

**პირველი**

## წეროვანში ძლიერმა ქარმა სკოლის შენობას სახურავი გადახადა

წეროვანის დასახლებაში გუშინ ძლიერმა ქარმა სკოლის შენობას სახურავი გადახადა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულმა ცეზარ ჩოჩელმა განუცხადა, შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

მისივე თქმით, ამ დროისთვის სკოლის სახურავის აღდგენითი სამუშაოები უკვე დაწყებულია. სარეაბილიტაციო სამუშაობის მიმდინარეობის გამო, წეროვანის დასახლების საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი სავარაუდოდ ორი დღით შეჩერდება.

**ინტერპრესნიუსი**

# იანვრის დასაწყისში ღორის გრიპის პიკს ველოდებით

**ღორის გრიპი დღითიდღე უფრო რთულ ფორმებს იღებს. როგორც მედიკოსები აცხადებენ, ქვეყანა ეპიდემიის ზღვარზეა, დაავადებულთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა და ეს მოსალოდნელი იყო. თუმცა პანიკის საფუძველს მაინც ვერ ხედავენ. მედიკოსთა განცხადებით, ვირუსი პიკს დეკემბრის ბოლოს, იანვრის დასაწყისში მიაღწევს. საახალწლოდ ქვეყანაში ამ მხრივ შესაძლოა მძიმე ვითარება შეიქმნას. დღევანდელი მონაცემებით, დაავადებულთა ოფიციალური მონაცემები 550-ს აჭარბებს, თუმცა დაავადებულთა რიცხვი გაცილებით დიდია. გასული სამი დღის განმავლობაში მხოლოდ ინფექციური საავადმყოფოს 300-მდე პაციენტმა მიაკითხა, აქედან მკურნალობას 91 პაციენტი გადის და მათი მდგომარეობა სტაბილურია.**

ნონა ცაბა ე

**მარინა ეზუგბაია — ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი:**

— ჩვენს კლინიკას გასული სამი დღის განმავლობაში მოაკითხა დაახლოებით 270 ავადმყოფმა, აქედან კლინიკაში დაწვა და ამჟამად მკურნალობს 91 ავადმყოფი სტაციონარში და 4 ადამიანი რეანიმაციაში. რეანიმაციაში მყოფ ადამიანთა მდგომარეობა ჯერჯერობით მძიმეა.

რაც შეეხება იაშვილის სახელობის კლინიკას, ექიმების განცხადებით, გასული დღე-ღამე ყველაზე რთული იყო, 24 საათის განმავლობაში კლინიკას 130 მცირეწლოვანმა მიაკითხა და აქედან მკურნალობას 71 ბავშვი გადის. არც ერთი ბავშვის მდგომარეობა კრიტიკული არ არის, როგორც იაშვილის კლინიკაში აცხადებენ, თუ ინფიცირებულთა რაოდენობა არ შემცირდა, მაშინ ეპიდემიის გამოცხადება გარდაუვალი იქნება.

**შოთა ცანავა — დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე:**

***— ბატონო შოთა, როგორია დღევანდელი მონაცემები, რამდენად იმატა დაავადებულთა რიცხვმა?***

— დღევანდელი მონაცემებით, 535 შემთხვევაა ლაბორატორიულად დადასტურებული, თუმცა შემთხვევათა რიცხვი გაცილებით დიდია, რადგან ყველა დაავადებული არ მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას.

***— ამათგან მძიმე რამდენია?***

— ბოლო მონაცემებით, ექვსის მდგომარეობა იყო მძიმე, მათ შორის ორის მდგომარეობა არის ყველაზე კრიტიკული. ხვალისთვის კიდევ უფრო გამოიკვეთება სიტუაცია.

***— გარდაცვლილთა რიცხვი ხომ არ გაიზარდა?***



— არა, აჭარაში გარდაიცვალა ერთი ახალგაზრდა, საბედნიეროდ რიცხვი არ გაზრდილა.

***— ეპიდემიის საშიშროებაა?***

— ეპიდემიის ზღვარზე ვიმყოფებით, შემთხვევათა მკვეთრ მატებას აქვს ადგილი და კიდევ უფრო მეტ შემთხვევას ველოდებით.

***— ასე მოკლე პერიოდში ამხელა მატებას ელოდით?***

— სეზონური მატებაა გრიპისთვის დამახასიათებელი.

***— და კიდევ უფრო გაიზრდება დაავადებულთა რიცხვი?***

— რა თქმა უნდა, გაიზრდება. დეკემბრის ბოლოს, იანვრის დასაწყისში პიკს ველოდებით.

***— მცირეწლოვან ბავშვებშიც იმატა ღორის გრიპმა, იაშვილის კლინიკას დღე-ღამის განმავლობაში 130 პაციენტმა მიაკითხა...***

— დიახ, ბევრია ჰოსპიტალიზირებული და ერთი მხრივ კარგია, რომ მეტ გართულებებს ავიცილებთ თავიდან. მეორე მხრივ, პანიკის საფუძველიც არ უნდა იყოს, ყველას, ვისაც გრიპის სიმპტომები აქვს, თუ საავადმყოფოში მოხვდა, ვერც ერთი კლინიკა ვერ დაიტევს ამდენს. ამაში ცუდს ვერ ვხედავ, რომ სავსეა საავადმყოფო, ეს გართულებებს აგვაცილებს თავიდან.

***— როგორც ითქვა, ინფექციურ საავადმყოფოში ამ მხრივ მძიმე ვითარებაა, როგორც განაცხადეს, ავადმყოფების მიღებას ველარ ავუდივართო...***

— ამ პრობლემას ჩვენი მოსახლეობა მიუდგა შეგნებულად და გართულებების თავიდან აცილების მიზნით მიმართავენ სამედიცინო დაწესებულებებს. ეს სწორია და ძალიან კარგი.

***— სხვა მხრივ როგორ შეიძლება თავის დაცვა?***

— უნდა შევქმნათ ერთჯერადი მექანიკური ბარიერები, ვიხმაროთ ნიღბები. ის ოთახი, სადაც ავადმყოფი იყო, ხშირად გავანიავოთ, სველი წესით დავამუშაოთ ის ნივთები, რომელთანაც ავადმყოფს ჰქონდა შეხება. იზოლაცია ავადმყოფი ადამიანის დანარჩენებისგან, ხელების ხშირი დაბანა, ეს ის ღონისძიებებია, რომელიც საგრძნობლად შეამცირებს დაავადებულთა რიცხვის ზრდას. ვიმეორებ, რომ დეკემბერ-იანვარი არის მსგავსი დაავადებების სეზონური მატების პერიოდი, ამ პერიოდში ალბათ დაავადებულებების დიდი რიცხვი იქნება.

***— რითი მიმდინარეობს დაავადებულთა მკურნალობა?***

— ანტივირუსული პრეპარატებით, რომელსაც უნიშნავს მკურნალი ექიმი. მკურნალობის სტრატეგიას და ტაქტიკას განსაზღვრავს ექიმი. ანტივირუსული პრეპარატი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოთ თვითნებურად.

# ქვეყანაში ეპიდემია უნდა გამოცხადდეს

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას გრიპის ეპიდემიასთან დაკავშირებით ქმედითი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს და გარკვეულ მითითებებსაც აძლევს. შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელებს მიაჩნიათ, რომ ღორის გრიპთან დაკავშირებით საგანგებო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამოცხადებას მოითხოვენ.**

შრომის პარტიაში მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებამ საკუთარი ხარჯებით უნდა უმკურნალოს იმ პირებს, ვისაც გრიპის გამო სტაციონარული მკურნალობა ესაჭიროებათ. თანხები კი ამისთვის ბიუჯეტიდან და პრეზიდენტის ფონდიდან უნდა იქნეს გამოყოფილი.

გრიპთან დაკავშირებით არსებული საკმაოდ მძიმე მდგომარეობის გამო ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა გუშინ პარტიის ოფისში სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, ქვეყანაში პესიმისტური პროგნოზები მართლდება და რეალურად საქართველოში უკვე გრიპის ეპიდემიაა.როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, თბილისის საავადმყოფოები გრიპით დაავადებულებით არის გავსებული. ამასთან, უამრავი ადამიანი სახლში გადის მკურნალობას. გრიპის ეპიდემია იმითაც დასტურდება, რომ ე.წ. ღორის გრიპით უკვე რამდენიმე ათასი ადამიანია დაინფიცირებული.

— იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა და სიცოცხლე საფრთხეშია, მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, დაუყოვნებლივ გატარდეს შემდეგი ღონისძიებები: გამოცხადდეს საგანგებო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ქვეყანაში; გამოცხადდეს რიგგარეშე არდადეგები სკოლებსა და საბავშვო ბაღებში; ვირუსით დაინფიცირებულებს უფასოდ გადაეცეთ სამკურნალო პრეპარატები „ტამიფლუ“ და სხვ.



მძიმე შემთხვევებში ჰოსპიტალიზაციის საჭიროების და საავადმყოფოებში მოთავსების ყველა ხარჯი საქართველოს ბიუჯეტიდან და პრეზიდენტის ფონდიდან გამოიყოს, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების სასწრაფოდ გატარება იმისთვის არის საჭირო, რომ გრიპის ეპიდემია პანდემიაში არ გადაიზარდოს.

## პრეზიდენტი ფარმაცევტულ კომპანიებს ფასების ხელოვნურ ზრდაში ადანაშაულებს

საქართველოს პრეზიდენტი



ქართულ ფარმაცევტულ კომპანიებს მონოპოლიზმსა და ფასების ხელოვნურ ზრდაში ადანაშაულებს.

მიხეილ სააკაშვილი ჯანადაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილთან ერთად გუშინ პენსიონერი ცოლ-ქმრის ოჯახს ეწვია და მათთვის საჭირო წამლების ფასებზე ისაუბრა. კერძოდ, პრეზიდენტის თქმით, იგი უცხოეთში მედიკამენტების ფასებს დააკვირდა და მათი ღირებულება გაცილებით იაფია, ვიდრე საქართველოში. მისივე შეფასებით, ამის მიზეზი არის ის, რომ ორი-სამი ფარმაცევტული კომპანია მოაჯდა ყველაფერს და ბაზარი გაყვეს, ხოლო ამ მონოპოლიზმის შედეგად წამლები 20-30-40%-ით გაძვირდა.

ამასთანავე, მიხეილ სააკაშვილმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ საქართველოში წამლების შემოსატანად ბიუროკრატიული მექანიზმები იყო გასავლელი, რაც ფასზე მოქმედებდა, თუმცა, ამ მიმართულებით ცვლილება აუცილებად იქნება და პარლამენთან მუშაობა უკვე ჩატარებულია. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა საპარლამენტო უმრავლესობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

— ჩვენ რომ უმრავლესობა არ გვქონდეს, ყველა სფეროში დაგვემხობოდა საქმე, იმიტომ, რომ ჩვენი უმრავლესობის პირობებშიც კი, რომელსაც ვიცი, არაფერი სხვა ინტერესი არ აქვს, გაჭირდა საკითხის გატანა და მუდმივად იყო რაღაც ლობირება და გარედან კითხვები ისმოდა, — განაცხადა პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, წამლები იმდენად გაძვირებულია, რომ ხალხი მთელ პენსიას ხარჯავს, ხოლო საავადმყოფოებში სამედიცინო მომსახურებაზე მეტად ძვირი მედიკამენტებია.

სააკაშვილმა ასევე ისაუბრა ახალ მექანიზმზე, რომელსაც ფარმაცევტულმა კომპანიებმა მიმართეს მაღალი ფასების შესანარჩუნებლად. კერძოდ, მისი თქმით, ფარმაცევტულმა კომპანიებმა მიაკითხეს პატენტების ბიუროს, რომელიც პრეზიდენტის შეფასებით არის სრულიად უსაქმური ბიურო და წამლების დაპატენტების გზით ცდილობენ მაღალი ფასების შენარჩუნებას.

პრეზიდენტმა ამ სფეროში სიტუაცია პირადი კონტროლის ქვეშ აიყვანა და განაცხადა, რომ მას სურს საქართველოში იყოს პატიოსანი ფარმაცევტული წარმოება და არა ხალხის ხარჯზე. სააკაშვილმა ვითარების დასარეგულირებლად ჯანდაცვის მინისტრს 2-3 თვე მისცა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.**
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**E-mail: axtaoba@mail.ru**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# „ბაღაფშის გაპრეზიდენტებას აფხაზები ეწინააღმდეგებიან“

## აფხაზური ოპოზიცია საპროტესტო აქციებით იმუქრება

თეა მარხვაი ე

**გუშინ მთელი დღის განმავლობაში სერგეი ბაღაფში მილოცვებს იღებდა. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მას რუსეთის პრეზიდენტმა და პრემიერმაც მიულოცეს. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად ბაღაფში აფხაზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამაც გამოაცხადა.**

13 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე აფხაზური ცესკოს თავმჯდომარემ ბატაპ ტაბაღუამ არჩევნების შედეგები გამოაცხადა. იმ დროისათვის დათვლილი ხმების თანახმად, სერგეი ბაღაფშს ხმა ამომრჩეველთა 59,4% მისცა. მისმა მთავარმა და ძველმა კონკურენტმა რაულ ხაჯიმბამ ამომრჩეველთა ხმების 15,40% მოაგროვა. მესამე ადგილზე ხმათა 10,8%-ით ზაურ არძინბა გავიდა. ბესლან ბუთბამ და ვიტალი ბღანბამ 10%-ზე ნაკლები დააგროვეს.

ოპოზიციის მტკიცებით, ბაღაფშმა და მისმა გარემოცვამ არჩევნების შედეგები გააყალბეს. როგორც ისინი ამტკიცებენ, მათმა წარმომადგენლებმა არჩევნების მიმდინარეობის დროს უამრავი კანონდარღვევა დააფიქსირეს. ამ კანონდარღვევებთან დაკავშირებით ისინი სარჩელის შეტანას აპირებენ. მათი განცხადებით, არჩევნების შედეგები უნდა გაუქმდეს ანდა ხელახლა მოხდეს ხმების გადათვლა.

რაულ ხაჯიმბას მტკიცებით, პრეზიდენტის გამოსავლენად აფხაზეთში არჩევნების მეორე ტური უნდა ჩატარდეს. ამ ვერსიას იზიარებენ აქამდე მისი კონკურენტები ზაურ არძინბა და ბესლან ბუტბა. პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატი ვიტალი ბღანბა კი არჩევნების შედეგებს ეთანხმება. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მან 12 დეკემბერსვე მიულოცა სერგეი ბაღაფშს.

დანარჩენები კი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს არ ეთანხმებიან და სამართლიანობის აღდგენისთვის აპირებენ ბრძოლას. ძალიან მალე შეიძლება აფხაზეთში საპროტესტო აქციები დაიწყოს.

ამის შესახებ გადაწყვეტილებას ახლო მომავალში მიიღებენ აფხაზი ოპოზიციონერები. პრეზიდენტობის სამმა კანდიდატმა უკვე შექმნა დროებითი ალიანსი. მათი პირველი შეხვედრა კვირა საღამოთი გაიმართა. ხაჯიმბა, ბუთბა და არძინბა კიდევ ერთხელ ითხოვენ შედეგების გაუქმებას. თუ მათი მოთხოვნა არ შესრულდა, ისინი პროტესტის სხვადასხვა ფორმებს გამოიყენებენ.

პროტესტის გამოსახატავად ისინი შესაძლოა ქუჩაშიც გამოვიდნენ. ქუჩის აქციები წინა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგად იმართებოდა. ოღონდ მაშინ ქუჩებში ბაღაფშის მომხრეები დარბოდნენ. მათ ცესკოს შტურმით აღებაც კი სცადეს. მაშინ ამ აქციებმა გაამართლა. თანაც მაშინ ბაღაფშს მართლა უჭერდა ხალხი მხარს. ბუთბას, არძინბას და ხაჯიმბას შემთხვევაში კი მთლად ასე არ არის. მათ მართალია ჰყავს მხარდამჭერები, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც სერგეი ბაღაფშს. ასე რომ, ისინი ქუჩის აქციებით არჩევნების შედეგებს ვერ შეცვლიან.

პირველ რიგში კი იმიტომ ვერ შეცვლიან, რომ ამ შედეგებს მხარს რუსეთი უჭერს. რუსეთის ნებართვის გარეშე კი ხაჯიმბა, ბუთბა და არძინბა დესტაბილიზაციის მოწყობას ვერ გაბედავენ.

თავიდან სერგეი ბაღაფშს რუსეთი ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ ახლა ის სრული ნდობით და მხარდაჭერით სარგებლობს. ეს მხარდაჭერა მან დიდი ტანჯვა-წვალებით მოიპოვა.

რუსეთისადმი ერთგულებას ბაღაფში თავის ყოველ გამოსვლაში აფიქსირებს. რუსეთისადმი სამადლობელი სიტყვა მან 12 დეკემბერსაც თქვა. მაშინ, როცა ოპოზიცია შედეგების გაუქმებას ითხოვდა, ბაღაფში რუსეთთან ერთად განსახორციელებელ პროექტებზე საუბრობდა.

ბაღაფშის თქმით, ხალხმა მასთან ერთად მხარი აფხაზეთის განვითარებას დაუჭირა. ბაღაფშის განცხადებით, აფხაზეთის სიმშვიდე და განვითარება პირდაპირ რუსეთთან არის დაკავშირებული. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული ბაღაფში ამბობს, რომ ახლო მომავალში აფხაზეთში უამრავი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება, რომელსაც რუსეთი დააფინანსებს.

რუსეთს მადლობები სერგეი ბაღაფშმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზეც გადაუხადა. საგანგებო ბრიფინგზე მან საქართველოც ახსენა და მასთან დიალოგის სურვილი გამოთქვა. საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე კი კატეგორიული უარი შემოგვითვალა.

აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები საქართველოს ხელისუფლებამ უკანონოდ და ფარსად შეაფასა. საქართველოს მსგავსად, ამ არჩევნების ცნობას არ აპირებენ ამერიკა და ევროკავშირი. ამის გამო სერგეი ბაღაფშს გულზე ნაღველიც კი არ შეჰყრია.

— ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირის ქვეყნები აფხაზეთის არჩევნების იგნორირებას ახდენენ. პირდადად მე ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, — განაცხადა დე ფაქტო პრეზიდენტმა.

მათ და საქართველოს გასაგონად ბაღაფში აცხადებს, რომ სოხუმი თბილისის შემადგენლობაში აღარასდროს იქნება. ამის მოუხედავად, ის საქართველოსთან ურთიერთობების მოგვარებას უჭერს მხარს. ის საქართველოსთან დიალოგის მომხრეა, თუმცა მხოლოდ ერთი პირობით.



— აფხაზეთმა და საქართველომ ურთიერთობები ისე უნდა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა. მე კარგად მესმის, რომ აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება რთული პროცესია. მოსწონს თუ არა ეს ევროკავშირს ან აშშ-ს, ჩვენ ჩვენი გზა უკვე ავირჩიეთ. აფხაზეთი აღარასოდეს იქნება საქართველოს შემადგენლობაში და ჩვენ ურთიერთობების ასაგებად საკმარის მეგობრებს ვიპოვით, — განაცხადა ბაღაფშმა.

რაც შეეხება რუსეთს, მასთან ბაღაფში დიდი სიამოვნებით ითანამშრომლებს და მათთან ერთად განახორციელებს ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას, როგორიცაა გაზსადენის მშენებლობა. ბაღაფში ამბობს, რომ უახლოეს მომავალში რუსეთსა და აფხაზეთს შორის საჰაერო და სარკინიგზო მიმოსვლაც აღდგება.

აფხაზეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს თბილისში უკვე გამოეხმაურნენ. ჩვენებურებმა ეს არჩევნები ჯერ კიდევ მაშინ დაგმეს, როცა ბაღაფშმა კენჭისყრის თარიღი დანიშნა.

ოფიციალური თბილისის განცხადებით, არჩევნებში კრემლის ფავორიტი გაიმარჯვებდა. ეს ფავორიტი, მათი თქმით, სერგეი ბაღაფში იყო. რომელიც 4 წლის წინ ჩვენი ხელისუფლების ფავორიტი იყო.

ხელისუფლებაში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ არჩევნებში შესაძლოა კრემლს რაულ ხაჯიმბა გაეყვანა. ეს პროგნოზი არ გამართლდა. მოსკოვმა თავის ყოფილ ფავორიტს რატომღაც ზურგი შეაქცია.

დევნილობაში მყოფი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გია ბარამია მიიჩნევს, რომ ბაღაფში კრემლის მოთხოვნილებებს სრულად აკმაყოფილებს და ამიტომაც გახდა პრეზიდენტი.

— ბაღაფში რუსულ პოლიტიკას სწორხაზოვნად ატარებს და იმ შემთხვევაში თუ დე ფაქტო არჩევნებში ოპოზიციური ძალა გაიმარჯვებდა, მოსკოვი მუდმივი შიშის ქვეშ იქნებოდა, რათა მათ კრემლისთვის კატეგორიულად მიუღებელი ნაციონალური კურსი არ აეღოთ, — ამბობს გია ბარამია.

ბარამიას მტკიცებით, არჩევნების შედეგებით არა მარტო აფხაზური ოპოზიცია, არამედ აფხაზების დიდი ნაწილიც უკმაყოფილოა.

— აფხაზები ბაღაფშის გამარჯვებით უკმაყოფილოები არიან, რადგან მიხვდნენ, რომ აფხაზურ ეთნოსს ბაღაფშის რეჟიმის პირობებში გადაშენება ემუქრება, — აცხადებს ბარამია.

აფხაზებმა აფხაზების ინტერესების უგულებელყოფაში უკვე დასდეს ბრალი სერგეი ბაღაფშს. ეს ზაფხულში გამართულ ყრილობაზე მოხდა, რომელსაც აფხაზური ოპოზიცია სრულიად დაესწრო.

იმ ყრილობაზე სიტყვით რაულ ხაჯიმბაც გამოვიდა, მან სერგეი ბაღაფში აფხაზური ინტერესების უგულებელყოფაში დაადანაშაულა. იმ დღეს აფხაზურმა ოპოზიციამ რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულებებიც გააკრიტიკა.

იმ დღეს აფხაზური ოპოზიცია რუსეთის ხელისუფლების კრიტიკას მოერიდა და ყველაფერი წვრილ ჩინოვნიკებს გადააბრალა, რომლებმაც, მათი თქმით, ეს ხელშეკრლება შეიმუშავეს.

ხელშეკრულება კი აფხაზებისთვის შეიძლება ძალიან ცუდი შედეგების მომტანი აღმოჩნდნეს. ამ ხელშეკრულებით აფხაზების ინტერესები საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთის ხელში გადადის. აფხაზები კი ფაქტიურად ჰაერში რჩებიან.

მაშინ აფხაზურმა ოპოზიციამ ასეთი რამეც კი თქვა, საქართველოსთან იმიტომ არ გვიბრძოლია, რომ რუსეთმა გადაგვყლაპოსო.

აფხაზური ინტერესებისთვის ღალატი ბაღაფშისთვის მარტო რუსეთთან მიმართებაში არ დაუბრალებიათ. ბაღაფშს სომხების ლობირების გამო უკვე ბევრჯერ დასდეს ბრალი. ამ საკითხის გარშემო ბაღაფშსა და ხაჯიმბას შორის ერთხელ ძალიან სერიოზული უთანხმოება მოხდა. იმ დროისთვის ხაჯიმბა ჯერ კიდევ ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ხაჯიმბას სომხების მიმართ კარგი დამოკიდებულება არასდროს ჰქონია. ის სომხებს ჯერ კიდევ მაშინ დაუპირისპირდა, როცა უშიშროების მინისტრი იყო. მას ეს პოსტი არძინბას პრეზიდენტობის დროს ეკავა.

იმ დროისთვის ხაჯიმბას უშუალო ძალისხმევით გაგრიდან და გაგრის რაიონიდან რამდენიმე ასეული სომხური ოჯახი გაასახლეს, რომლებიც იქ უკანონოდ იყვნენ ჩამოსახლებულები.

ანტისომხური განწყობა აფხაზეთში ყოველთვის იყო, მაგრამ ბაღაფშის გაპრეზიდენტების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ამ წლების განმავლობაში ყველა ობიექტს, რომელსაც მოგების მოტანა შეეძლო, სომხები დაეპატრონნენ. სომხებმა დიდი ფული იშოვეს, აფხაზები კი ისევ ისე დარჩნენ.

ამაზე პროტესტი არაერთხელ გამოითქვა. ანტისომხური კამპანიაც დაიწყო. ამის გამო ოფიციალურმა ერევანმაც გამოთქვა პროტესტი. სერგეი ბაღაფშმა სომხებს პირობა მისცა, ხელს ვერავინ გახლებთო და ეს პირობა შეასრულა.

ეს სიკეთე სომხებმა არ დაუკარგეს და არჩევნებზე მას დაუჭირეს პირწმინდად მხარი. სომხების ლობირებას ბაღაფში ალბათ მომავალშიც გააგრძელებს. რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთში სომხური კლანი კიდევ უფრო გაძლიერდება და როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ერთ დღესაც აფხაზეთი რუსეთსა და სომხეთს შორის შეიძლება დაპირისპირების საგანი გახდეს.

# მასწავლებლებს მეცამეტე ხელფასი დაურიგეთ!

**„ქრისტიან-დემოკრატებმა" პრეზიდენტს პედაგოგებისთვის მიცემული დაპირება შეახსენეს. საუბარია პედაგოგებისთვის მე-13 ხელფასის გაცემაზე. პედაგოგებს მე-13 ხელფასი 2009 წელს არ მიუღიათ.**

ნანა მიშელაშვილი



გუშინ პარლამენტში ერთობლივი ბრიფინგი გამართეს ქრისტიან-დემოკრატებმა ლევან ვეფხვაძემ და გიორგი ახვლედიანმა. მათ პრეზიდენტს მიმართეს, რომ ის დაპირება გაიხსენოს, რომელიც მან განათლების პროფკავშირებთან შეხვედრისას დადო.

ბრიფინგზე ქრისტიან-დემოკრატებმა მოიტანეს პრეზიდენტის გამოსვლიდან ასეთი ციტატა: „მასწავლებლები ყოველწლიურად მეცამეტე ხელფასს მიიღებენ“.

— ხელისუფლება არ ღალატობს მის მიერვე აღებულ დანერგილ მანკიერ ტრადიციას და კვლავინდებურად არ აპირებს საკუთარი დაპირების შესრულებას. 2007 წლის ბოლოს პრეზიდენტი წინასაარჩევნო შეხვედრის დროს დაპირდა პედაგოგებს, რომ ყოველწლიურად ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნებოდა მათთვის მე-13 ხელფასისთვის საჭირო თანხები. მეტიც, 2007-2008 წელს პედაგოგებმა მიიღეს მე-13 ხელფასი, მაგრამ 2009-ში ხელისუფლებას საკუთარი დანაპირები დაავიწყდა, — აღნიშნა გიორგი ახვედიანმა.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა უერთდება განათლებისა და მეცნიერების პროფკავშირის სამართლიან მოთხოვნას.

— მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, შეასრულოს პედაგოგებისთვის მიცემული დაპირება და მისცეს მათ კუთვნილი მე-13 ხელფასი, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

ოპოზიციური ფრაქციის წევრების განცხადებით, ეს იქნება 100 ათასამდე პედაგოგის მცირედი მხარდაჭერა, რომლებიც წლების განმავლობაში მიზერული ანაზღაურებით ემსახურებოდნენ მომავალი თაობების აღზრდას.

ვიცე-სპიკერის ლევან ვეფხვაძის განცხადებით, პარლამენტმა ორ მილიონ ნახევარი ლარით შეიმცირა საკუთარი ბიუჯეტი, „ქამრების შემოჭერა“ სხვებსაც შეუძლიათ, რათა პედაგოგებმა მე-13 ხელფასი მიიღონ.

ქრისტიან-დემოკრატები აპირებენ, რომ განათლების ახალ მინისტრთან დიმიტრი შაშკინთან კონსულტაციები გამართონ და ამ საკითხზე ისაუბრონ. იგივე საკითხთან დაკავშირებით, ქრისტიან-დემოკრატები კონსულტაციების გამართვას პრემიერ-მინისტრთან ნიკა გილაურთანაც აპირებენ.

რამდენად გაითვალისწინებს მთავრობა ოპოზიციური ფრაქციის ამ მოთხოვნას და მიეცემა თუ არა პედაგოგებს მე-13 ხელფასი, ეს ცოტა ხანში გაირკვევა. კონკრეტულად კი მაშინ, როდესაც მთავრობა ქრისტიან-დემოკრატებთან კონსულტაციებს გამართავს.

# სს „საქართველოს სახალხო ბანკი“ საპენსიო სესხის ოდენობას ზრდის

სს „სახალხო ბანკმა“ წინასაახალწლოდ საპენსიო სესხის მოცულობის გაზრდის შესახებ განაცხადა. პროგრამის ფარგლებში სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ საპენსიო პროგრამაში ჩართული ყველა პირი შეძლებს ყოველთვიური პენსიის ხუთმაგი ოდენობის სესხის მიღებას.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ზაფხულის ცნობილი მოვლენების შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საპენსიო სესხი ყოველთვიური პენსიის ხუთმაგი ოდენობით გაიცემა.

— გაზრდილი საპენსიო სესხით სარგებლობას მთელი ქვეყნის მასშტაბით შეძლებს ნებისმიერი მომხმარებელი, რომელიც ჩართულია საპენსიო პროგრამაში. ვიმედოვნებ, ეს წინასაახალწლო წამოწყება სასიხარულო იქნება პროგრამის მონაწილეთათვის. სესხის გაცემა იწარმოებს ჩვენი ბანკის ყველა ფილიალსა და სერვის-ცენტრში მომხმარებლებისთვის უკვე კარგად ნაცნობი გამარტივებული პროცედურით, — განაცხადა სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ გიორგი არველაძემ.

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე **30–30** და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე **30–30** და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**
*ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“*

# აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები უკანონოა

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციული ორშაბათის ბრიფინგი გაიმართა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ გასული კვირის მოვლენები შეაჯამა. მთავარი შეფასებები, რასაკვირველია, სეპარატისტულ არჩევნებს მოყვა.**



აფხაზეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შეფასებები უკვე გააკეთა საქართველოს ხელისუფლებამ. საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ ყველაფერს სპექტაკლს უწოდებს სახელწოდებით „არჩევნები".

აფხაზეთში მეორე ვადით აირჩიეს სერგეი ბაღაფში. ამ არჩევნებს არ ცნობს რუსეთის გარდა არც ერთი საერთაშორისო საზოგადოება და სახელმწიფო. ასეთია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება.

— ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩატარებულ არჩევნებს არ ცნობს საქართველო და არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, დასავლეთი, რადგან აფხაზეთში დარღვეულია ყველა ტიპის საერთაშორისო ნორმა. არჩევნები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ლეგიტიმურად ჩაითვალოს, როდესაც ყველა გამოძევებული ადამიანი დაბრუნებული იქნება საკუთარ სახლში. — ასეთია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება.

— ჩვენ ვიტოვებთ იმედს, რადგან მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია, რომ ეს არის უკანონო ქმედება და შედეგიც არალეგიტიმურია. მსოფლიო თანამეგობრობაც სწორედ ამას ასე შეაფასებს, დაგმობს და არალეგიტიმური შედეგების მიმართაც ადეკვატური რეაქცია ექნება, — აცხადებს ნინო კალანდაძე.

მსოფლიო ამ არჩევნებს ვერ აღიარებს ლეგიტიმურად, სანამ არ მიიღებენ ამ არჩევნებში მონაწილეობას ადამიანები, რომლებიც განდევნილნი არიან საკუთარი სახლებიდან.

საგარეო საქმეთა სამინისტროში კიდევ ერთი განცხადება გაკეთდა, რომელიც რუსეთის მოქალაქეებს ეხებათ, მათ საქართველოს ხელისუფლებას სთხოვეს მოქალაქეობა.

საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე სურვილი რუსეთის ორმა მოქალაქემ გამოთქვა. ამის შესახებ მათ უკვე მიმართა ქართულ მხარეს. თუმცა, რადგან რუსეთ-საქართველოს შორის შეწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა, აღნიშნულ მოვალეობას მესამე ქვეყანა — შვეიცარია განახორციელებს.

ერთ-ერთი პიროვნება, რომელმაც საქართველოს მოქალაქეობის მიღების სურვილით მიმართა, ალექსანდრე ბონდარევი რუსი დისიდენტია, რომელიც პარიზში ცხოვრობს.

საქართველოს მოქალაქეობის მსურველი კიდევ ერთი პიროვნებაა, პეტერბურგელი ეკატერინა ტიმოფეევა.

— ამ საკითხების მოგვარებაში ჩვენ ჩართული ვართ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხი ჩვენთან არ განიხილება. რადგან ჩვენს საელჩოს მიეწოდა ეს ცნობა, ჩვენი სამინისტროც ინფორმირებულია. ეს არის ოფიციალური პროცედურა. ყველას აქვს უფლება, რომ მიმართოს ჩვენს სახელმწიფოს ამ ტიპის მოთხოვნით. შესაბამისად, ქართული მხარე განიხილავს ამ მოთხოვნას და მიზანშეწონილობის შემთხვევაში აკმაყოფილებს კიდეც, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

# 12 წლის ბავშვებს აღარ დაიჭერენ

**12 წლის მოზარდები სისხლის სამართლის პასუხისგებაში აღარ მიეცემიან. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკად 14 წელი განისაზღვრება. ეს მას შემდეგ მოხდება, რაც პარლამენტი შესაბამის კანონპროექტთა პაკეტზე იმსჯელებს და მიიღებს.**

ნანა მიშელაშვილი

14 წლიდან 12 წლამდე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწევა წინა პარლამენტის დროს მოხდა. მაშინ ამას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ოპოზიცია. მაშინდელმა ოპოზიციამ ამ თემაზე საკმაოდ ბევრი იხმაურა, თუმცა, უშედეგოდ, პასუხისმგებლობის ასაკად მაინც 12 წელი განისაზღვრა.

წინა პარლამენტის დროს, უმრავლესობის მაშინდელი წევრები ირწმუნებოდნენ, რომ საქართველოში არაფერი უცნაური არ ხდება და სხვადასხვა ქვეყნაში 8-9-10 წლიდანაც ხდება მოზარდების დაკავება. ამ არგუმენტაციის ოპოზიციის არ სჯეროდა. უმრავლესობამ ოპოზიციას არ დაუჯერა და მინიმალურ ასაკად 12 წელი განისაზღვრა.

რატომ მიიღო მთავრობამ გადაწყვეტილება, რომ 12 წლის ნაცვლად 14 წლიდან დაიწყოს მოზარდების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა?

მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი განმარტავს, რომ საქართველოს პროკურატურას ფუნქცია აქვს განახორციელოს მონიტორინგი კრიმინოგენულ ვითარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად ის ვალდებულია ხელისუფლების სხვადასხვა შტოებთან ერთად გადახედოს სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულებებს.

— კანონის პრევენციულმა ფუნქციამ თავის როლი შეასრულა, ამ ეტაპზე უფრო მეტ ყურადღებას გავამახვილებთ დანაშაულის პროფილაქტიკის ღონისძიებზე, — აღნიშნა ხუროშვილმა.



კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ცოტა ხანში პარლამენტში მსჯელობა დაიწყება, შეეხება ამნისტიას. ქვეყანაში კიდევ ერთი ამნისტია განხორციელდება. ამჯერად საკითხი ნარკოტიკების მომხმარებლებს არ შეეხება.

ამნისტია ამჯერად სულ სხვა მუხლებს შეეხება. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან ყალბი ატესტატების დამამზადებლები გათავისუფლდებიან.

ამნისტია შეეხება 339-ე, 362-ე მუხლებით და 363-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია 2003-2004 სასწავლო წლის ყალბი ატესტატის დამზადებასთან, შეძენასთან, გასაღების მიზნით შენახვასთან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებასთან, ყალბი ცნობის ან ჩანაწერის შეტანასთან.

ამნისტიის შესახებ კანონპროექტის ავტორი საქართველოს მთავრობაა. მის განხილვას პარლამენტი, სავარაუდოდ, ამ თვეში დაიწყებს. ჯერჯერობით უცნობია თუ რამდენ ადამიანს შეეხება ამნისტია.

ამნისტიასთან დაკავშირებით პრეტენზიები ოპოზიციას ალბათ არ ექნება, თუმცა, ოპოზიციის ცალკეული წევრები სხვა მუხლების დამატებას მოითხოვენ. მთავრობა კი ოპოზიციის მოთხოვნას ხშირად არ იზიარებს. ასე მოხდა ბოლო ამნისტიის დროს, როდესაც ოპოზიციის ნაწილი მოითხოვდა, რომ ამნისტია შეხებოდა 260-ე მუხლის მეორე ნაწილს, თუმცა, უმრავლესობამ ოპოზიციის არგუმენტაცია არ გაიზიარა და ამნისტია იმ სახით მიიღო, როგორც ეს პრეზიდენტმა შეიტანა პარლამენტში.

პარლამენტმა ამ კვირაში წესით ბოლო საშემოდგომო სესია უნდა გამართოს და შემდეგ არდადეგებზე წავიდეს. მიუხედავად ამისა, პარლამენტს რიგგარეშე სხდომების მოწვევა და დამატებით მუშაობა მოუწევს. წლის ბოლოს პარლამენტს საკმაოდ ბევრი კანონპროექტები დაუგროვდა, ამიტომ დეპუტატები დეკემბრის ბოლომდე კიდევ რამდენიმე სხდომას გამართავენ. წლის ბოლომდე, პარლამენტი, სავარაუდოდ, ამნისტიის შესახებ კანონპროექტსაც მიიღებს.

# ქართველმა დეპუტატებმა სეპარატისტების არჩევნები დაგმეს

**აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები გუშინ საქართველოს პარლამენტში შეაფასეს. ოპოზიციისა და უმრავლესობის წევრების განცხადებები იდენტური იყო. დეპუტატები აფხაზეთის დეფაქტო პრეზიდენტის არჩევნებს არალეგიტიმურს უწოდებენ.**

ნანა მიშელაშვილი

ბიუროს სხდომის დასაწყისშივე განცხადება გააკეთა სხდომის წამყვანმა, პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა. მისი თქმით, აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები ეს არის უკანონო ქმედება და მისი შედეგები არალეგიტიმურია.

— რომელ არჩევნებზე უნდა ვისაუბროთ, როცა 300 ათასზე მეტი ადამიანი აფხაზეთიდან არის გამოძევებული, საუბარია ყველა ეროვნების ადამიანზე, — აღნიშნა მიხეილ მაჭავარიანმა.

ვიცე-სპიკერის განცხადებით, ეს იყო ყოვლად ცინიკური კამპანია მას შემდეგ, რაც აფხაზეთის აღიარება მოხდა რუსეთის მიერ.

მიხეილ მაჭავარიანი იმედს გამოთქვამს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა თავის სიტყვას იტყვის და აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. არჩევნებს შეაფასებს.

აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. არჩევნებთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ.

— ეს იყო ოკუპანტი ძალების მიერ ხელისუფლების მითვისება, — ასე შეაფასა დავითაიამ შაბათს გამართული ე.წ. არჩევნები.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ამბობს, რომ აფხაზები თავად ხვდებიან, რა სიტუაციაში არიან, რასაც მოუთითებდა ერთ-ერთი კანდიდატის ბუთბას საარჩევნო კამპანია.

აფხაზეთში ჩატარებული ე.წ. არჩევნები ასახული იქნება იმ განცხადებაში, რომლის მიღებასაც პარლამენტი სამშაბათს აპირებს.



საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის აკაკი მინაშვილის შეფასებით, საერთაშორისო თანამეგობრობამ კარგად იცის, რომ ეს არჩევნები არალეგიტიმურია.

— ამ განცხდებით ჩვენ კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამთ, რომ ასეთი ტიპის ე.წ. არჩევნები არის მცდელობა ოკუპანტის ძალის მხრიდან ოკუპაციის ლეგალიზაციის, იმ აგრესიისა და ეთნიკური წმენდის დაკანონების, რაც ამ ტერიტორიაზე მოხდა. ეს არის ძალიან სახიფათო ტენდენცია, ძალიან მკაცრი რეაგირება საჭიროა, რომ მსგავსი პრობლემები არ განმეორდეს მსოფლიოს სხვა წერტილებში, — აღნიშნა აკაკი მინაშვილმა.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, საერთაშორისო თანამეგობრობის რეაგირება და პოლიტიკური, დიპლომატიური ზეწოლა არის მთავარი, რაც ნიშნავს, რომ ამ საკითხის ხაზგასმა უნდა მოხდეს ყველა საერთაშორისო დონეზე.

# დაუშვებელია ფარმაცევტულ ბაზარზე მონოპოლისტების არსებობა

## ევროობლიგაციების ბედი გაურკვეველია

შორენა კოწოწაშვილი

**ადგილობრივი არჩევნების წინ საქართველოს მთავრობა ეკონომიკური პოლიტიკის კუთხით ახალ საკანონმდებლო ნორმას აპირებს და მეწარმეებს, რომელთაც მეწველ ძროხებად თვლის, თავს აწონებს დღგ-ს უკან დაბრუნებით და ეკონომიკური თავისუფლების აქტით.**

ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ქვეყანა ეკონომიკური აღმავლობის გზაზეა და რომ ეკონომიკური თავისუფლების აქტი და მეწარმეებისთვის დღგ-ს სახით გადახდილი თანხების უკან დაბრუნება ქვეყნის ეკონომიკას სერიოზულად გააძლიერებს.

ეკონომიკურ ექსპერტებს აღნიშნულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. რაც შეეხება დღგ-ს უკან დაბრუნებას, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ეს კანონით ისედაც სახელმწიფოსაგან დასაბრუნებელია. აქ მნიშვნელოვანია ხელისუფლების კეთილი ნება ეკონომიკური კრიზისის პირობებში ამ თანხების მოკლე დროში სრულად დაბრუნების.

ექსპერტებს ასევე აინტერესებთ, თუ სად წავიდა ევროობლიგაციებიდან მიღებული სოლიდური თანხები — 500 მლნ დოლარი, რომლის გამოც ქვეყანას 2013 წელს მოუწევს 1,2 მლრდ ლარის გადახდა, რომელიც შეიძლება ექსპრემიერ ლადო გურგენიძის პასუხისმგებლობის საკითხამდეც მივიდეს.

იყო თუ არა ევროობლიგაციების თემა გურგენიძის და იმდროინდელი მთავრობის ფინანსური აფიორა და რა ვალი დაედო ამ „მნიშვნელოვანი" ეკონომიკური ნაბიჯით ქვეყანას? ექსპერტ სოლომონ პავლიაშვილის თქმით, ქვეყანაში არ ჩანს ისეთი განხორციელებული პროექტი, რომელიც სწორედ ევროობლიგაციების თემას უკავშირდებოდა.

2010 წლის ბიუჯეტის პარამეტრებზე, ევროობლიგაციებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გავესაუბრეთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში **სოლომონ პავლიაშვილს**.

***— ბატონო სოლომონ, რას იტყვით საქართველოს 2010 წლის ბიუჯეტის პარამეტრებზე? რამდენად სწორად გაკეთდა აქცენტები მთავრობის მიერ პოსტკრიზისულ სახელმწიფო ბიუჯეტში?***

— უნდა ითქვას, რომ თვითონ ბიუჯეტი სტრუქტურულად და ორგანიზაციულად დიდად არ განსხვავდება 2009 წლის ბიუჯეტისაგან. აქ რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე მიმართულებებში არ არის. თვითონ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების კლებაა დაახლოებით 437 მლნ-ით გასულ წელთან შედარებით. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი არის დაახლოებით 5 მლრდ, დეფიციტი კი შეადგენს 935 მლნ ლარს. ამ მონაცემებს პრეზიდენტის მიერ გაჟღერებულ პარამეტრებს თუ შევადარებთ, რომელიც ეკონომიკური თავისუფლების აქტში გააჟღერა და მიუთითა, რომ არ უნდა იყოს მომავალში ბიუჯეტის დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტის (მშპ-ს) 3%-ზე მეტი. პარამეტრები, რომლებიც გაჟღერებულ იქნა ეკონომიკური თავისუფლების აქტიდან გამომდინარე, რომ მშპ-ის 3%-ზე მეტი არ უნდა იყოს ბიუჯეტის დეფიციტი, ამჟამად 2010 წლის მიღებული ბიუჯეტით ეს უკვე შეადგენს 5%-ს. ანუ დეფიციტი უკვე მეტია. რაც შეეხება საგარეო ვალების მოცულობას, რომელიც ასევე ეკონომიკური თავისუფლების აქტით უნდა იყოს 60%, ახალი ბიუჯეტის კანონით ეს უკვე შეადგენს 45%. ხოლო ხარჯების შეფარდება მშპ-სთან შეადგენს 27%-ს. თავისუფლების აქტით ეს უნდა იყოს 30%. ეს პარამეტრების შესაბამისობაშია, მაგრამ დეფიციტი უკვე არის მაღალი იმ პარამეტრებთან, რომლებსაც გვთავაზობენ და ამბობენ, რომ კანონით განმტკიცდება. ამ ყველაფერის მიღება იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური პროცესები თავის მოქნილობას და ელასტიკურობას კარგავს. ქვეყანას როგორც დასჭირდება — რამდენი უნდა იყოს საგარეო ვალი როგორი უნდა იყოს ხარჯების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან, ეს უნდა იყოს ოპერატიული გადაწყვეტილების საკითხი წლის განმავლობაში. ამიტომ ამის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევამ შეიძლება ეკონომიკური პროცესების გარკვეული მოქნილობა შეაჩეროს. რაც შეეხება სახელმწიფო ვალს, სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით მინდა გითხრათ, რომ სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა იქნება 8,8 მლრდ ლარი 2010 წლისთვის. ხოლო საშინაო ვალი 1,7 მლრდს, ეს საკმაოდ მაღალი თანხაა. საშინაო ვალის გაზრდა მხოლოდ 100 მლნ-ია, რაც გამოწვეულია სახაზინო ვალდებულების განთავსებით. შეიძლება სხვა ქვეყნებშიც არის საგარეო ვალი მაღალი, მაგრამ ეს ჩვენი ქვეყნისთვის შეიძლება გახდეს გარკვეული პერიოდის შემდეგ სერიოზული პრობლემების შემქმნელი. იმიტომ, რომ ჩვენთან ეკონომიკური პროცესები მაინცდამაინც სტაბილური არ არის პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ჩემი აზრით, ქვეყნის შიგნით უნდა გამოინახოს რესურსები, რათა არ დაგროვდეს საგარეო ვალები. იცით,

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ბაღაფში მოსკოვის მითითებებს ბოლომდე არ შეასრულებს

## რატომ აარიდა მან აგვისტოს ომში სისხლისღვრას თავი

**სერგეი ბაღაფში ოკუპირებულ აფხაზეთს კიდევ ერთი „საპრეზიდენტო“ ვადით უხელმძღვანელებს. მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. რადიკალური ოპოზიცია 12 დეკემბრის კენჭისყრის შედეგებს არ ცნობს და პერმანენტული აქციებით იმუქრება. ბაღაფში კი მილოცვებს იღებს და აცხადებს, რომ „რესპუბლიკა აღარასოდეს შევა საქართველოს შემადგენლობაში“.**

გერა მამულაშვილი

რა დასკვნები უნდა გაკეთდეს თბილისში აფხაზურ არჩევნებთან დაკავშირებით, მოსალოდნელია თუ არა სეპარატისტების მხრიდან აგრესიულ-ანტიქართული რიტორიკის ცვლილება, რა შედეგები აქვს აფხაზურ არჩევანს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, როგორი უნდა გახდეს თბილისის ახალი სტრატეგია ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში?



ამ თემაზე „ახალ თაობასთან“ საუბრისას პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** აცხადებს, რომ სავარაუდოდ ბაღაფშმა ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენა. მისივე თქმით, დანარჩენი კანდიდატებისგან განსხვავებით ბაღაფში, როგორც უფრო რეალისტი პოლიტიკოსი, სამომავლოდ თბილისისთვის შეიძლება უფრო ხელსაყრელი ფიგურა აღმოჩნდეს. საყვარელიძე აცხადებს, რომ თუ სამომავლოდ საქართველო ძლიერი ქვეყანა გახდება, მასთან ურთიერთობა საჭირო გახდება აფხაზებისთვისაც და ოსებისთვისაც.

***— როგორ უნდა შეფასდეს მორიგი აფხაზური არჩევანი?***

— შედეგებმა ისეთი ვნებათაღელვა გამოიწვია, რომ სავარაუდოდ იქ მართლაც იყო სერიოზული დარღვევები. ბაღაფშმა ამ მხრივ საკუთარი უპირატესობები შეძლებისდაგვარად გამოიყენა. ანუ საუბარია ადმინისტრაციული რესურსის აქტიურ გამოყენებაზე. გარდა ამისა, საქართველოს, ალბათ, რაც აინტერესებს იმ კონტექსტში, სოხუმის ხელმძღვანელობის პოლიტიკური სტილი პრაქტიკულად არ შეიცვლება. ეს პოლიტიკური სტილი კი მეტნაკლებად ნაცნობია.

შეგახსენებთ, რომ აგვისტოს ომის პერიოდში კოდორის ხეობა ისე აიღო სოხუმმა რომ სცადა სისხლისღვრისთვის თავი აერიდებინა. და საერთოდ, აგვისტოს ომში ის როგორც მხარე არ ჩაება, ანუ გარკვეულ სიფრთხილეს გამწვავების პირობებში ბაღაფში იჩენს ხოლმე. ის არ არის ისეთი ცალსახა შემსრულებელი მოსკოვის დაკვეთებისა, როგორადაც ხშირად თავს აჩვენებს.

ამიტომ, ალბათ, დანარჩენი კანდიდატებისგან განსხვავებით, ბაღაფში როგორც უფრო რეალისტი პოლიტიკოსი ჩვენთვის შეიძლება უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდეს. განსხვავებით იმათგან, ვისაც მართალია პროქართული პოზიცია არც ერთს არ აქვს, მაგრამ ვინც შეიძლება ბრმა შემსრულებლები ყოფილიყვნენ რუსული ინსტრუქციებისა. მგონია, რომ ბაღაფშის მართვაში ასეთი ბრმა სტილი არ არის.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## პიგიენური საშუალებების იმპორტი 12-პროცენტიანი საბაჟო განაკვეთით დაიბეგრება

შამპუნებისა და სხვა რიგი ჰიგიენური საშუალებების იმპორტი 12-პროცენტიანი საბაჟო განაკვეთით დაიბეგრება.

ამასთან დაკავშირებით ცვლილებები „საგადასახადო კოდექსში“ შედის, რომელშიც ჰიგიენური საშუალებების დაბეგვრის საკითხი პროექტის მეორე მოსმენისთვის დაემატა.

პროექტის თანახმად, 12-პროცენტიანი საბაჟო გადასახადით დაბეგვრა შეეხება შამპუნების, არომატიზებული მარილებისა და სხვა შედგენილობების იმპორტს, რაც აბაზანების მისაღებად გამოიყენება.

ამას გარდა, დაიბეგრება ტუალეტის საპნის იმპორტი, სამკურნალო საშუალების შემცველი საპნის ჩათვლით, ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერების და კანის დასაბანი საშუალებების როგორც სითხის, ისე კრემის სახით; სარეცხი და საწმენდი საშუალებების; საწმენდი პასტების და ფხვნილების იმპორტი. აღნიშნული გადაწყვეტილების მიზნად, ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობა სახელდება. „საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების პროექტს პარლამენტი საბოლოოდ მიმდინარე კვირის ბოლომდე დაამტკიცებს.

**ინტერპრესნიუსი**

## ბათუმში საავიაციო ბომბი იპოვეს

ბათუმში, მელიქიშვილის ქუჩაზე, მაგისტრალური წყალსადენი მილის გაყვანის დროს, მიწაში ჩაფლული საავიაციო ბომბი აღმოაჩინეს. 50 სანტიმეტრის სიგრძისა და 25 სანტიმეტრის დიამეტრის ბომბი მუშებმა იპოვეს. იგი მიწაში ღრმად იყო ჩაფლული. ამ დროისთვის ბომბი გაუვნებელყოფილია. ადგილზე კრიმინალისტები მუშაობენ.

როგორც მელიქიშვილის ქუჩის მცხოვრებლები აცხადებენ, მათ ქუჩაზე ბომბი, სავარაუდოდ, გზის გაყვანის დროს, ინერტულ მასალას შემთხვევით მოჰყვა.

**მედიანიუსი**


## თიბისი ბანკში ვიზა ბარათების ფესტივალი დაიწყო!




# დაუშვებელია ფარმაცევტულ ბაზარზე მონოპოლისტების არსებობა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რომ საგარეო ვალების მომსახურებაზე გამოყოფილია 257 მლნ ლარი. აქედან მხოლოდ ძირითადი ვალის დასაფარავად 135 მლნ ლარის გადახდაა დაგეგმილი. ფაქტობრივად სახელმწიფო ვალის შემცირება ამ ეტაპზე არ ხდება.

***— ანუ ქვეყანა ისევ ვალებით ცხოვრობს?***

— მართალია, საგადასახადო შემოსავლები საკმაოდ მაღალია, მაგრამ რეალურად ასეა. საგადასახადო შემოსავლები შეადგენს მშპ-ს 23%-ს. და საბიუჯეტო წნეხი არ არის მაღალი. გრანტები და სახელმწიფო ვალი არის საკმაოდ დიდი ოდენობით. გრანტები არის 462 მლნ ლარის, საგარეო ვალის ზრდა არის 1 მლრდ 200 მლნ ლარი. ეს ძალიან მაღალი ციფრია.

***— ომის შემდგომ საქართველო მთლიანად საერთაშორისო დახმარებებმა იხსნა სერიოზული ეკონომიკური კრიზისისგან?***

— რა თქმა უნდა, ეს დახმარებები ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ იქნა 4,5 მლრდ ლარი. აქედან 2 მლრდ არის წმინდა გრანტი, ხოლო 2,5 მლრდ არის დაბალ პროცენტიანი კრედიტი. მან ძალიან დიდი შეღავათი გაუწია ქვეყანას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მანამდე, სანამ ეკონომიკური კრიზისი დაიწყებოდა. იმათ ცალსახად განსაზღვრეს პრიორიტეტები რა უნდა ყოფილიყო. ეს იყო 4 პრიორიტეტი: პირველი — დევნილების ინფრასტრუქტურის შექმნა; მეორე — ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა, მესამე — საბანკო სექტორის დახმარება; და მეოთხე, ინვესტიციური პროექტების განხორციელება. თუ როგორ ხორციელდება ეს მიმართულებები, ეს არის საინტერესო. ჩემი აზრით, უფრო მეტი აქცენტები კეთდება ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ეს, ერთის მხრივ კარგია, მაგრამ ალბათ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რომ მოხდეს მეწარმეობის ხელშეწყობა, უნდა ამუშავდეს იაფი კრედიტის პროგრამები. სახელმწიფომ მეწარმეს ხელი უნდა შეუწყოს მანამ, სამან ეს წარმოება ეკონომიკური წნეხისგან ამოისუნთქავს. საქართველოს ეკონომიკური კრიზისის გავლენა 2009 წელში უფრო ეტყობა, ვიდრე გასულ წელს.

***— შესაბამისად, მომავალი წელი უფრო მძიმე იქნება ეკონომიკური კუთხით ქვეყნისთვის? ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება.***

— იმიტომ, რომ ის ანარეკლები, რომელიც იყო 2008 წლის საომარი მოქმედებების გამო და ეკონომიკური კრიზისის შედეგად, რა თქმა უნდა, გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს მომავალ წელსაც. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ვალდებულებებს ასრულებს, პენსიებს და ხელფასებს გასცემს, ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. ინვესტიციები, რომლის განხორციელებაც 2010 წლის ბიუჯეტის კანონით და საბიუჯეტო კოდექსით არის განსაზღვრული, ეს შეიძლება ინსტიტუციურად არ იყოს გამართლებული, რადგან პირდაპირ ბიუჯეტიდან მოხდება კერძო კომპანიების დაფინანსება, მაგრამ მეორეს მხრივ, ჩვენ კარგად გვახსოვს, როცა ეს ბანკების მეშვეობით ხდებოდა, ბანკები როგორ ლიბერალურ პოლიტიკას ახორციელებდნენ გამომდინარე თავიანთი სუბიექტური მოსაზრებებიდან. ამიტომ იყო, რომ საბანკო სექტორში საინვესტიციო და საკრედიტო მიმართულება ერთმანეთში იყო აღრეული. ბანკები უშუალოდ მონაწილეობდნენ საინვესტიციო პროექტებში და იმდენად დიდი იყო სუბიექტური ფაქტორები, რომ ხშირად გაუთვალისწინებელი რჩებოდა ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკის ობიექტური ტენდენციები, რითაც საბოლოო ჯამში საბანკო სექტორს ექმნებოდა პრობლემა. ვფიქრობ, ეს პროცესი შუამავლის გარეშე უფრო ეფექტიანი იქნება. შეიძლება ეს მიუღებელია ინსტიტუციურად, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით უდავოდ მომგებიანი. ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1 მლრდ 300 მლნ-ის ინვესტიციის განხორციელება ყველა მიმართულებით. აქ ერთი რაღაც მინდა დავამატო. სამწუხაროდ, მხოლოდ 85 მილიონია რეგიონებისთვის განკუთვნილი დაგეგმილი ინვესტიციებიდან, რაც დაბალი მაჩვენებელია.



***— მომავალი წლის ბიუჯეტში რეგიონებზე ნაკლები ყურადღებაა გადატანილი?***

— მთლად ასე არ არის, რადგან სხვა პროგრამებიც მუშაობს რეგიონებში. ეს არის იგივე წყალმომარაგების, გზების და საავადმყოფოების რეაბილიტაციის პროგრამები და ა. შ. ჩემი აზრით, ბიუჯეტის პარამეტრებიდან გამომდინარე, რეგიონებისთვის განკუთვნილი თანხები მაინც უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო.

***— ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ საკმაოდ კარგი ბიუჯეტი შეადგინა მთავრობამ პოსტკრიზისული ქვეყნის პირობებში. ფაქტია, გარკვეულ სამინისტროებს დაფინანსება შეუმცირდათ. სწორად გაიწერა თანხები?***

— რა გითხრათ, სტრუქტურულად და ორგანიზაციულად ბიუჯეტი, გასული წლის ბიუჯეტს ჰგავს. ის ფაქტი, რომ აქცენტი ინვესტიციებზე კეთდება, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია. რაც არ უნდა ვიძახო, რომ ეს არის მემარცხენეობა, მაინც კარგია. მე ასე შევაფასე, მემარცხენეობის საყმაწვილო სენი შეეყარა მსოფლიოს. ნახეთ, რა ხდება ამერიკაში, აშშ-მ თითქმის ერთი ტრილიონი გამოყო ბიუჯეტიდან ეკონომიკური სტიმულირებისთვის. ბარაკ ობამამ ისიც კი თქვა, რომ ამერიკა ახორციელებს სახელმწიფო ხარჯზე სამედიცინო რეფორმას და დაახლოებით უნდა გამოიყოს 10 წლის განმავლობაში 900 მილიარდი. 46 მლნ ადამიანი, რომელიც დღეს დაზღვევის გარეშეა, სახელწიფოს ხარჯზე უნდა დაეზღვიოს. იაპონია მიუხედავად თავისი ლიბერალური ეკონომიკისა 270 მილიარდი გამოყო ბანკებისათვის მოსახლეობის და კომპანიების აღებული კრედიტების ვადის გაგრძელებისათვის, ხოლო 20 მილიარდი ერთჯერადი დახმარება საშუალო და დაბალ შემოსავლიანი ოჯახებისათვის. რაც შეეხება გერმანიას, მან შეიმუშავა 50-მილიარდიანი სტიმულირების პაკეტი და 100-მილიარდიანი სახელმწიფო გარანტია ბანკებთან კერძო კომპანიების დასახმარებლად.

***— ბოლო პერიოდში ხელისუფლებამ ძირითადი აქცენტი სწორედ ეკონომიკურ რეფორმებზე გადაიტანა. შედეგიანი აღმოჩნდა ნიკა გილაურის თუ მისი წინამორბედის მთავრობის ეკონომიკური გადაწყვეტილებები?***

— რა თქმა უნდა, თავისთავად უნდა აღინიშნოს ის პოზიტიური ძვრები, რამაც გაამარტივა ქვეყანაში ბიზნესის დაწყების პირობები, სწორედ ამის გამოც ჩვენ ერთ-ერთი მაღალი რეიტინგი გვაქვს. მაგრამ მიუხედავად ამისა, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის არასრულყოფილი კონკურენცია, რომელიც შეიმჩნევა ადგილობრივ ბაზარზე და გარკვეულ პრივილეგირებულ და მონოპოლიზირებულ მდგომარეობაში აყენებს ზოგიერთ კომპანიას. მაგალითად, ნახეთ რა ხდება ფარმაცევტულ ბაზარზე უფრო მეტიც მსხვილი ენერგო და ნავთობკომპანიები ქმნიან თავიანთ სადაზღვევო კომპანიებს; ხოლო აფთიაქების ქსელები თავიანთ სამედიცინო კლინიკებს ამავდროულად სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ისინი გადაჯაჭვულნი არიან სადაზღვეო კომპანიებს გადადინება ხდება ერთი ჯიბიდან მეორეში. ეს ძალიან კარგად მესმის, რომ კანონით ამის აკრძალვა არ შეიძლება ვინაიდან ესენი არიან კერძო სამართლის იურიდიული პირები და მათ აქვთ უფლება, დააფუძნონ ნებისმიერი პროფილის კომპანიები, მაგრამ აუცილებელია მათი რეგულირება, რათა არ დაიჩაგროს სხვა ამ ბაზარზე მოთამაშე ეკონომიკური სუბიექტი და არ ჩამოყალიბდეს მონოპოლიზებული ფასები. სამწუხაროა, რომ ჩვენთან არავინ არ ანგარიშობს ისეთ ინდიკატორს, როგორიც არის ლერნერის ინდექსი, რომლითაც ფასდება ბაზარზე კომპანიების მონოპოლიზებული ძალაუფლება და ამ გარემოებით მიღებული მოგება. რაც შეეხება ბიუჯეტს მინდა დავუბრუნდე მნიშვნელოვანი თემით, რაც არის ევროობლიგაციების თემა. თავისთავად ცუდი არ არის ეკონომიკური თვალსაზრისით, რომ ჩვენ მსოფლიო ფინანსურ ინტეგრაციაში რომ ვერთვებით, მაგრამ ის მიზნობრიობა, რაზეც იყო საუბარი, როცა 2008 წელს და დაახლოებით 7,5 % ობლიგაციები განვათავსეთ ლონდონის ბირჟაზე, სხვათა შორის, აქედან 48% შეისყიდა დიდმა ბრიტანეთმა და დანარჩენი აშშ-ის კომპანიებმა, რომელიც ოფშორებშია რეგისტრირებული. თავისთავად, ეს ცუდი არ იყო, მაგრამ მისი მიზნობრიობა შემდგომში არსად არ ჩანს. ეს პრემიერ ლადო გურგენიძის დროს ხდებოდა. უნდა აშენებულიყო გაზის საცავი და არ გაკეთებულა. შემდეგ, საუბარი იყო კვლევების ჩატარებაზე, რაც ასევე არ მომხდარა. ასევე უნდა დაფინანსებულიყო ენერგეტიკული სექტორი, ელექტროსისტემა, ესეც არ განხორციელდა. მერე საუბარი იყო მომავალი თაობების დახმარებაზე ამ კუთხით. დღეს ამ თანხების მიმართულება გაურკვეველია. ბიუჯეტში ვერ ნახავ, რომ ამ თანხებმა ხარჯებში ასახვა ჰპოვა, ჩვენ კი ამ თანხებიდან გამომდინარე სოლიდური ფინანსების გადახდა გვიწევს 2013 წელში.

***— რაზე მიანიშნებთ, ბატონო სულიკო, რომ თავის დროზე გურგენიძემ ევროობლიგაციების განთავსებით საბიუჯეტო თანხები „მოტეხა“?***

— როგორ გითხრათ, ყოველ შემთხვევაში ეს თანხა ბიჯეტში არ ჩანს, შეიძლება საომარი მოქმედებების დროს იქნა გამოტანილი. ეს თანხები უნდა იქნეს მოძიებული, ანუ ხელისუფლება უნდა დაინტერესდეს, სად წავიდა ის 500 მილიონი. ინტერნეტით ამ თანხის მოძიება ძალიან რთულია.

# იაკობაშვილმა ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი შეიმუშავა

**ახალი ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი შეიმუშავა რეინტეგრაციის სამინისტრომ. გუშინ სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა ქართველი ექსპერტები მიიწვია ახალი დოკუმენტის განსახილველად.**



ნათია ხურცილავა

ექსპერტების პოზიცია ჯერჯერობით უცნობია ახალ დოკუმენტთან დაკავშირებით.

ახალი ეროვნული სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტი დასრულებულ სახეს წლის ბოლოსთვის მიიღებს. სწორედ მაშინ გახდება აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით ფართო წრეების მოსაზრება ცნობილი, რასაკვირველია, თუ დოკუმენტი საჯარო დისკუსიის საგანი გახდა.

მოხდება თუ არა ახალი ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტის ღია განხილვა, ჯერ უცნობია. თუმცა, იაკობაშვილის განცხადებით, პროცესში ექსპერტების ჩართვა უკვე ნიშნავს დოკუმენტზე საჯარო დისკუსიას. როგორც იაკობაშვილი აცხადებს, აღნიშნული დოკუმენტის განხილვა მოხდება ოპოზიციურ პარტიებშიც თუ ეს მათი სურვილი იქნება.

წესით, ასეთი სურვილი უნდა გამოთქვან ოპოზიციურმა პარტიებმა, რადგან საქმე სახელმწიფოს ეროვნულ სტრატეგიას ეხება.

— სავარაუდოდ, დოკუმენტი წლის ბოლოსთვის დასრულდება. ექსპერტებთან უკვე მეორე შეხვედრა გვაქვს, როდესაც კონკრეტულ დოკუმენტზე ხდება მუშაობა. მანამდე ხდებოდა იდეების შეგროვება. ახლა გვაქვს ტექსტი, რომელზეც ყველას შეუძლია თავისი აზრის გამოთქმა. ძალიან საინტერესო საუბარი შედგა, — განაცხადა იაკობაშვილმა.

დოკუმენტის დიდი ნაწილი, ბუნებრივია, ოკუპირებულ ტერიტორიებს და იქ არსებულ ვითარებას ეხება. რეინტეგრაციის მინისტრი აცხადებს, რომ სახელმწიფო არჩეულ სტრატეგიას არ გადაუხვევს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით.

— აღსანიშნავია, რომ ჩვენ ჩვენს კურსს არ გადავუხვევთ. ვამზადებთ სტრატეგიას ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, იმ ფონზეც, როდესაც იქ ტარდება უკანონო შოუ, სახელად „არჩევნები". ამ სტრატეგიის მიზანი არის იმ ხალხთან ურთიერთობა, რომლებიც ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა და პოლიტიკური სიმპათიებისა. აფხაზეთში ჩატარებულ ამ შოუსთან დაკავშირებით რაიმე სახის ლეგიტიმურობაზე საუბარი და რაიმე სახით ამის გამართლება ზედმეტია. ეს ზედმეტია არა მხოლოდ ჩვენი მხრიდან, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის დონეზე. ჩვენთვის, უბრალოდ, სულ ერთი არ არის რა ხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ვის უნდა ვესაუბროთ. ამ შემთხვევაში დარჩა ისევ ის ადამიანი, რომელიც ვფიქრობ, ყველაზე უფრო კომფორტულია ამ ეტაპზე რუსეთისთვის. იმედია, რომ რაღაცა ფორმით კომფორტული იქნება მასთან ურთიერთობები, — განაცხადა თემურ იაკობაშვილმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დოკუმენტი საჯარო იქნება და მასში ცვლილებების შეტანა შეეძლებათ ექსპერტებს და ოპოზიციურ პარტიებსაც. როგორც იაკობაშვილი აცხადებს, პროცესში ასევე ჩართული იქნებიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები. როგორ მოხდება ამ იდეის განხორციელება, ეს ჯერ უცნობია. თუმცა, ამ იდეის განხორციელებაზე მინისტრი საუბრობს.

— ჩვენ აუცილებლად გავმართავთ კონსულტაციებს პოლიტიკურ პარტიებთან, რა თქმა უნდა მათთან, ვისაც ამის ინტერესი აქვს. ამ დოკუმენტს ვაჩვენებთ წინასწარ, სანამ მოხდება საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბება. ასევე ჩვენ ვცდილობთ, რომ ამ პროცესში ჩავრთოთ საერთაშორისო თანამეგობრობა. საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებთან შეხვედრის ორი რაუნდი უკვე ჩავატარეთ. მესამეც გვექნება. გარკვეულწილად ეს დოკუმენტი იქნება კონსენსუსის შედეგად მიღებული დოკუმენტი. გათვალისწინებული იქნება ძალიან ბევრი დაინტერესებული მხარის იდეები. ასევე შევეცდებით მისი განხორციელების გეგმაზე მუშაობისას ჩავრთოთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობაც, — აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა.

# ბალაფში მოსკოვის მითითებებს ბოლომდე არ შეასრულებს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***— ბაღაფშის ეს სტილი თბილისს რას აძლევს დიალოგის პროცესის აღდგენის თვალსაზრისით?***

— თბილისისთვის, რა თქმა უნდა, არც ერთი არ წარმოადგენს იდეალურ ფიგურას. მაგრამ თუკი გადავითვლით იმას, თუ რა შეეძლოთ მიეცათ ისეთ ფიგურებს, რომლებიც კიდევ უფრო ერთგულები არიან კრემლისა, ამ პირობებში თბილისისთვის მაინც უფრო ხელსაყრელია ბაღაფშითქო; თორემ არ ისე, რომ ის როგორც პოლიტიკოსი, დღეს თბილისს აწყობს.

მაგრამ თუ რეალობა შეიცვლება საიმისოდ, რომ მოსახლეობის განწყობილებებს იგრძნობს ბაღაფში და თუ ეს განწყობილებები არ იქნება ისეთი ცალსახა პრორუსული, როგორიც აქამდე იყო, მაშინ ბაღაფში ამ განწყობილებებს ანგარიშს გაუწევს. ის ხომ ფაქტობრივად მოსახლეობის მხარდაჭერის ხარჯზე ინარჩუნებდა ხელისუფლებას? ბაღაფში საიმისო პოლიტიკოსია, რომ სიტუაციის ცვლილებაზე თავისი სტილიც შეცვალოს.

ხოლო მოსახლეობა რა პოზიციას აირჩევს, ეს ორივე მხარეზე არის დამოკიდებული, რუსეთზე და საქართველოზე. თუ რუსეთმა განაგრძო აფხაზეთის ანექსირება და ეს არა მარტო საქართველოსთვის წართმევაა იმ ტერიტორიების, არამედ აფხაზებისთვის წართმევაა იმ ტერიტორიების უპირველეს ყოვლისა, ამაზე აფხაზებს რეაქცია, ალბათ, ექნებათ.

იმ მომენტისთვის, როცა სწორედ ამაზე ექნებათ რეაქცია, როცა ეს რეაქცია მომწიფდება, ბაღაფშის ყოფნა იქაური ადმინისტრაციის სათავეში შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

***— ანუ ეს ერთგვარი ფონი, რამაც შესაძლოა იქ პრორუსული განწყობა შეცვალოს, დღეისთვის უკვე იქმნება?***

— კრემლის საქციელიც ქმნის ამ ფონს და თვითონ აფხაზებშიც არის ეს განწყობილება, რაც გასაკვირიც იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო. ადამიანებმა, რომლებმაც ომი იმისთვის მოაწყვეს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი ეთნოსი ყოფილიყვნენ და ეთნოწმენდა სწორედ ამის გამო მოაწყვეს, ახლა ისევ ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. პერსპექტივაში მათი უმცირესობაში მოხვედრა კიდევ უფრო მეტს შანსს იძენს. რუსები იქ დღეს შედიან და შედიან. სამხედრო კონტინგენტი აქტიურად შედის, სხვადასხვა სახის დამხმარე კონტინგენტიც შედის თავიანთი ოჯახებით.

ეს ყველაფერი იქ არსებული მოსახლეობის ბალანსს ცვლის და ცვლის არა ეთნიკური აფხაზების სასარგებლოდ. ბუნებრივია ამაზე რეაქცია ექნებათ მათ, ვისაც იგივე პრობლემებზე ადრეც ჰქონდათ რეაქცია ქართველებთან დაკავშირებით. რუსებთან იგივე ნაბიჯს ვერ გადადგამენ, რაც საქართველოს მიმართ რეალურად გადადგეს. გამოიყენეს რუსეთის ინტერესი და ფაქტობრივად უცხო ძალები შემოიყვანეს იმისთვის, რომ საკუთარი მიზნებისთვის მიეღწიათ. ასეთი რამ ამჟამად პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

ის ქვეყნები, რომლებსაც რუსეთისთვის სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ, ნამდვილად არ არიან ამაში დაინტერესებულნი. საქართველო, სამწუხაროდ, ასეთი მასშტაბის სამხედრო პოტენციალს არ ფლობს. ასე რომ, აფხაზებს მოუწევთ ახალი პოლიტიკური აზროვნების გამომუშავება, შექმნილი სიტუაციის ხელახალი გააზრება და დალაგება. მაგრამ როგორ დაულაგდებათ მათ სამომავლო გეგმები, ეს დიდად იქნება დამოკიდებული ალბათ ბაღაფშის პოზიციაზეც.

***— სეპარატისტები ძალიან ბევრს საუბრობენ ე.წ. აღიარებაზე. თვითონ ამ ბოლო არჩევნებს და მის შედეგებს რა დატვირთვა აქვს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის?***

— საერთაშორისო თანამეგობრობა სხვათა შორის ყურადღებით მოეკიდა ამ არჩევნებს. თან უფრო მეტი ყურადღებით, ვიდრე ადრე. ალბათ, მაინც არის იმის მიმართ ინტერესი, ახერხებს თუ არა აფხაზეთი დემოკრატიული პროცესების დემოკრატიულად წარმართვას. თვითონ აფხაზებისთვის მნიშვნელობა იმ მხრივ აქვს, რაც ბაღაფშმა ერთხელ უკვე დაგვაყვედრა — მაგალითად, ჩვენთან რომ პრაქტიკულად გაძნელდა ხელისუფლების არჩევნების გზით გადაცემა და სულ რევოლუციების მოწყობაში ვართ, აი, აფხაზეთმა უკვე მერამდენედ ხელისუფლება არჩევნების გზით გადასცა და ხელისუფლების გადაცემა დემოკრატიულ ჩარჩოში ჩასვაო. ამ განაცხადისთვის მას საბაბი უნდა ჰქონდეს და ამ მხრივ არჩევნებს მნიშვნელობა აქვს. მეორეს მხრივ, მას რაღაც მნიშვნელობა შიდა აფხაზური კლიმატისთვის აქვს. იმისთვის, რომ არჩეული ლიდერი სამოქალაქო დაპირისპირების საბაბი არ იყოს. არჩევნები არ გახდეს საზოგადოებაში ასეთი ტიპის წინააღმდეგობების საბაბი. ლიდერი კი საჭიროა.

***— ამ დღეებში ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა განაცხადა, რომ მოსკოვის მხრიდან სამხრეთ ოსეთის „აღიარება" „ცუდი ხუმრობა" იყო. ამ კონტექსტში მას აფხაზეთი არ უხსენებია. ეს ორმაგი დამოკიდებულების დემონსტრირებას ხომ არ ნიშნავს?***

— არ მგონია. რადგანაც საკმარისია რაღაც პოლიტიკური შტოები სხვადასხვა მიმართულებით წავიდეს აფხაზეთის და ოსეთის მიმართ, რომ ძალიან ძნელი იქნება მაშინ ამის ახსნა რუსეთისთვის. მე მაინც მგონია, რომ ასეთი რეპლიკა გამოწვეულია იმით, რომ საომარი მდგომარეობა სწორედ ოსეთს, ცხინვალს უკავშირდებოდა და ამდენად ამან იქონია გავლენა აღნიშნულ ფრაზაზე. თორემ თავისთავად ამ ორი საკითხის ცალ-ცალკე განხილვა, უბრალოდ დაუშვებელია. მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც არათუ ასეთი ტყუპისცალივით ერთნაირი შემთხვევების, არამედ ისეთ შემთხვევებსაც, როგორიც კოსოვო და აფხაზეთია, რუსეთი ერთ კონტექსტში განიხილავს და მას პრეცედენტის ძალას ანიჭებს. აქ უკვე ცხინვალის და სოხუმის რეჟიმების სხვადასხვა კონტექსტში განხილვა ნამდვილად სერიოზული არ იქნება.

***— ხელისუფლება ახალი სტრატეგიის დაწყებაზე საუბრობს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. რაზე უნდა გადიოდეს დღეს ეს მთავარი პოლიტიკური ხაზი ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში?***

— ჯერჯერობით ვერ მოვასწარი ამ დოკუმენტის ნახვა და ჯერ არ ვიცი, შიგნით ეს სტრატეგიული ხაზი როგორ არის აწყობილი. მაგრამ რახან სიტყვამ მოიტანა, ჩემი აზრი მაინც ის არის, რომ რაიმე ცალკე სტატეგია არ არის აუცილებელი ამგვარი მიზნის მისაღწევად. გერმანიას ფედერაციულ რესპუბლიკას სულ არ ჰქონდა ასეთი სტრატეგია „გედეერის", ანუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ. უბრალოდ, მათ კარგად ცხოვრება სურდათ და მიაღწიეს ცხოვრების მაღალ დონეს. ეს იყო იმის საფუძველი, რომ ხალხი სიცოცხლის რისკის ფასად კედელზე გადადიოდა და ფედერაციული რესპუბლიკისკენ ილტვოდა. ასე რომ, საქართველომ თუკი მოახერხა და მაღალი დონის ქვეყანა გახდა, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების დონეს ვგულისხმობ, იქ ცალკე სტრატეგია აღარც იქნება საჭირო. მსურველები თვითონვე გამოჩნდებიან იმისკენ, რომ ძლიერთან ახლოს იყვნენ. ჩვენ პარტნიორად ვირჩევთ ხოლმე შეერთებულ შტატებს და რატომ? იმიტომ, რომ აშშ ძლიერი ქვეყანაა. სუსტ ქვეყანას პარტნიორად ხომ არ აირჩევ? და შეიძლება ბევრ რამეზე თვალის დახუჭო. ბევრი რამ დაივიწყო ამერიკული შეცდომებისა სწორედ იმიტომ, რომ ის ძლიერი ქვეყანაა და მასთან ურთიერთობა გჭირდება. როდესაც საქართველო ძლიერი ქვეყანა იქნება და მასთან ურთიერთობა საჭირო იქნება აფხაზეთისთვისაც და ოსეთისთვისაც, იქ ბევრი რამე დავიწყებას მიეცემა კიდევაც.

# პატრიარქი და ირინა ენუქიძე საუკეთესო უფლებათა დამცველებად დაასახელეს

შორენა კოწოწაშვილი

ადამიანის უფლებების კუთხით რომ ქვეყენაში უმძიმესი ვითარებაა, ამაზე არა მხოლოდ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები საუბრობენ, არამედ არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის უმძიმესი დასკვნა დაიდო ამ მიმართულებით საქართველოსთან მიმართებაში. მიუხედავად იმის, რომ საჯარო ე.წ. პიარ-განცხადებებში საქართველოს პრეზიდემტი მუდმივად დემოკრატიულ რეფორმებზე საუბრობს, ფაქტია, დღემდე მიუღწეველია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც თავის მხრივ კონსტიტუციითაც არის გარანტირებული. მაგრამ ფაქტია, რევოლუციური ხელისუფლების პირობებში კანონი ერთია, ხოლო პოლიტიკური ნება, მეორე და მთავარი.

— თავიდან არ ვიცოდი, რა ტარტაროზი, მკვლელი და სისხლიანი ხელისუფლება იყო ქვეყნის სათავეში. რომელ ადამიანის უფლებებზეა ლაპარაკი, როცა შვილები ჩაგვიხოცეს და იმასაც არ გვეუბნებიან, რატომ დაგვიხოცეს უდანაშაულო შვილები. ხმასაც არ გვცემენ და ამით დაგვცინიან. ამაზრზენია, როცა ხედავ, რომ შვილის სასაფლაოდან 100 მეტრში ელოდებიან შვილმკვდარ მამას პოლიციელები. ამას ვითმენთ. როცა საბუთებს ვაძლევთ, ვეუბნებით, კარგად აკვირდებიან, თითქოს სასაფლაოზე მისული შვილმკვდარი მამა ვინმესთვის საშიში იყოს. საზოგადოებამ კარგად იცის, ჩემს ოჯახს რამდენნაირად შეეხნენ. შვილი მანქანაში ჩამიცხრილეს და მანქანასაც არ მაძლევენ, ექსპერტიზა რომ ჩავატარო, — აცხადებს კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ჩაცხრილული ზურაბ ვაზაგაშვილის მამა იური ვაზაგაშვილი, რომელიც საზოგადოების დაცინვად აღიქვამს ხელისუფლების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებს — კრიმინალებს ბრძოლა გამოვუცხადეთო.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, შვილმკვდარმა ოჯახებმა, რომლებიც ხელისუფლების სისხლიანი პოლიტიკის მსხვერპლნი გახდნენ, არასამთავრობო ორგანიზაცია „დაიცავი სიცოცხლე" დააფუძნეს და ახლა ერთიანი ძალებით ცდილობენ უფლებათა დამცველებთან და ადვოკატებთან ერთად როგორმე მიაღწიონ სიმართლის დამტკიცებას და უსამართლოდ მოკლული შვილების რეაბილიტაციას.

ორგანიზაცია „დაიცავი სიცოცხლის" წარმომადგენელი იური ვაზაგაშვილი დარწმუნებულია, რომ უდანაშაულო ახალგაზრდების კრიმინალებად მონათვლით ხელისუფლებამ დამნაშავე პოლიციელების უკანონო საქციელი „გააპრავა".

— ქვეყნის და ერის გადარჩენა არის საზოგადოების ერთობაში, ისევე როგორც ჩვენი შვილების გადარჩენა. როცა ქვეყანას მკვლელები მართავენ, რომელ დემოკრატიაზეა საუბარი? — კითხულობს იური ვაზაგაშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დამტკიცდება სიმართლე, რომელსაც ეს ხელისუფლება მალავს.

მეორე შვილმკვდარი მამა, ჯამბულ გამცემლიძე გარკვეულწილად უკმაყოფილოც არის, როცა შვილმკვდარ მამას უწოდებენ.

— მშობლებს, რომელთაც შვილები დაგვიხოცეს, შვილმკვდარ დედებად და შვილმკვდარ მამებად მოგვიხსენიებენ. ჩვენ შვილმოკლული მამები ვართ. შვილმკვდარი მამები კი მიშა სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის და ზურა ადეიშვილის მამები არიან, რომლებმაც ასეთი შვილები მოავლინეს ამ ქვეყანაზე, რომლებმაც უდანაშაულო ახალგაზრდები ჩახოცეს და ქვეყანა ასეთ დღეში ჩააგდეს, — განაცხადა არასამთავრიბო ორგანიზაციათა შეხვედრაზე ჯამბულ გამცემლიძემ.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაზე, სადაც საუბარი იყო პოლიტპატიმართა მდგომარეობასა და მედიის თავისუფლების კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე, ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობით გამოკითხვა. ფარული კენჭისყრით დასახელდა როგორც საუკეთესო უფლებადამცველი, ისე უფლებადამრღვევი.

აღსანიშნავია, რომ წლის უფლებათა დამრღვევებს შორის ლიდერობა ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არავის დაუთმო. მას გვერდს უმშვენებდნენ ისეთი ცნობილი ფიგურები, როგორიც არიან ვანო მერაბიშვილი და ზურა ადეიშვილი. სხვათა შორის, უფლებათა დამრღვევად დაასახელეს არასამთავრობოებმა სასამართლოც.

რაც შეეხება საუკეთესო უფლებების დამცველს, აქ ხმები საკმაოდ საინტერესოდ გადანაწილდა. ყველაზე მეტი ხმა ამ ნომინაციაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო. მას რამდენიმე ხმით ჩამორჩა სანდრო გირგვლიანის დედა — ირინა ენუქიძე.

საკმაოდ საინტერესო სურათიდან გამომდინარე, კენჭისყრის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ რადგან კათოლიკოს-პატრიარქი ერის სულიერი მამაა და ის არის ცალკე ინსტიტუტის — ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლი, საუკეთესო უფლებადამცველად პატრიარქთან ერთად ირინა ენუქიძეც დაესახელებინათ.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მომავალი, 2010 წლის ადამიანის უფლებების კუთხით უკომპრომისო ბრძოლის წლად გამოცხადების მომხრე არიან და დღესვე მზადყოფნას გამოთქვამენ ამ კუთხით აქტიური მუშაობისთვის.

# „ცოტნე გამსახურდია არსებული ხელისუფლების ტყვეა“

გულიკო ბალა ე

**პოსტკომუნისტურ პერიოდში საქართველოში არსებული პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით არაერთი აქცია ჩატარებულა და ადამიანის უფლებათა არაერთ საერთაშორისო ორგანიზაციას მიუმართავს საქართველოს ხელისუფლებისთვის მათი გათავისუფლების მოთხოვნით.**

როგორც ჩანს, 21-ე საუკუნეში, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 18 წლის შემდეგაც დღევანდელ ხელისუფლებას ჰყავს პოლიტპატიმრები.

ახალი არ არის, რომ საქართველოში გამოძიება დაბალ დონეზეა, ხოლო სასამართლო პროკურატურის დანამატადაა ქცეული, სამართლიანობა კი საერთოდ არ არსებობს.



რამდენიმე დღის წინ თბილისში შეიქმნა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟის, ცოტნე გამსახურდიას გათავისუფლების კომიტეტი, რომელშიც გაერთიანდნენ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები, იურისტები, ადვოკატები, საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც მოითხოვენ ცოტნე გამსახურდიას პატიმრობიდან გათავისუფლებას.

ცოტნე გამსახურდიას გათავისუფლების კომიტეტის წევრები ყველა ღონეს მივმართავთ, რომ ის პატიმრობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს.

— საქმე ისაა, რომ ცოტნე გამსახურდიამ საქართველო, ფაქტობრივად, სირცხვილისაგან იხსნა. მან პირველმა მოიძია და მარტომ შეძლო, რომ ზვიად გამსახურდიას, ანუ მისი მამის, რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ცხედარი არ დაკარგულიყო. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მოეძებნა ცხედარი და საქართველოში ჩამოესვენებინა. ეს არის პირველი მიზეზი, რის გამოც ცოტნე გამსახურდიას არსებულმა ხელისუფლებამ ბრძოლა გამოუცხადა, რადგან ზვიად გამსახურდიას საქართველოში გადმოსვენება არსებული რეჟიმის ინტერესებში არ შედიოდა.

ცოტნე გამსახურდიას ხელისუფლების დაპირისპირების მეორე მიზეზია ის, რომ ცოტნე გამსახურდია ჩამოყალიბდა, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. ვიღაცებს უნდათ თუ არა, ეს ასეა. სხვათა შორის, ზოგიერთებივით ამ რეჟიმს არ ელაქუცება. ცოტნე გამსახურდიამ არაერთი სერიოზული პუბლიტკაცია უძღვნა საქართველოს, აქ გამეფებულ რეჟიმს. ცოტნე გამსახურდიამ სააკაშვილის რეჟიმი ამხილა, როგორც ანტიქართული და ანტიადამიანური ქმედებებისთვის.

ე.ი. ფაქტობრივად, ცოტნე გამსახურდია არის ჩამოყალიბებული პოლიტიკური მოღვაწე. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ეს გახდა საბაბი ცოტნე გამსაუხრდიას წინააღმდეგ ბრძოლისა. რაც 27 ოქტომბერს მოხდა, ეს იყო რეჟიმის მხრიდან პროვოცირებული პროვოკაცია და ის ამჟამად ციხეშია და ტყვედ ჰყავთ აყვანილი.

ცოტნე გამსახურდია, რომელიც ფიზიკურად კოლხურ კოშკში ცხოვრობს, მისი მამის პოლიტიკური მემკვიდრეობის გამგრძელებლად და ამ რეჟიმის უკომპრომისო მებრძოლად. ის არ დადის არც უშიშროების საბჭოს სხდომებზე და არც პარლამენტში და ძალიან პრინციპული პიროვნებაა. ამიტომ დასჭირდა ხელისუფლებას ამ ახალგაზრდა ადამიანის იზოლირება, რათა ფსიქოლოგიურად მოტეხონ. ეს არის მიზეზი, — აცხადებენ კომიტეტის წევრები.

კომიტეტი მსოფლიო საზოგადოებრიობას და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს აცნობებს, რომ საქართველოში არსებულ რეჟიმს ჰყავს პოლიტპატიმრები. გარდა ცოტნე გამსახურდიასი, პოლიტპატიმრები სხვებიც არიან, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ კვლავ გრძელდება საქართველოს პირველი პრეზიდენტის ოჯახის დევნა-შევიწროვება. თუკი ზვიად გამსახურდია მოკლეს, განდევნეს, გააუბედურეს, საქართველო დაამხეს, ახლა მის შვილსაც იგივეს უმზადებენ და არ უნდათ პოლიტიკურ პიროვნებად და მოღვაწედ ჩამოყალიბდეს.

კომიტეტი აცხადებს, რომ ცოტნე გამსახურდიას გათავისუფლების მოთხოვნით, მიმართავენ პროტესტის მშვიდობიან ფორმებს.

— ჩვენ არ მოვეშვებით, სანამ ეს კაცი არ იქნება გათავისუფლებული. ჩვენ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ვემხრობით, ცოტნე გამსახურდია არის სინდისის ტუსაღი და დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩათვლით, რომ მიხეილ სააკაშვილი, რაღა თქმა უნდა, აგრძელებს შევარდნაძის დანაშაულებრივი რეჟიმის კურსს, ზვიად გამსახურდიას ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ცოტნე გამსახურდია აგრძელებს მისი მამის კურსს და ამიტომ მას ტერორის ქვეშ ამყოფებენ. ტერორია, როცა კაცი უდანაშაულოდ ჰყავთ ციხეში, პროკურატურა არ უშვებს და აწამებს. მოვითხოვთ, ცოტნე გამსახურდია შობა-ახალ წლამდე გაათავისუფლონ.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიორიგი თევზაძის თქმით, ზვიად გამსახურდიას შვილი იქნება თუ სხვა უბრალო მოქალაქის შვილი შესაბამისი ორგანოების მხრიდან მის მიმართ დაცული უნდა იქნეს პროცესუალური ნორმები.

**გიორგი თევზაძე:**

— პატიმარ ცოტნე გამსახურდიას საქმის გამოძიება მიმდინარეობს პროცესუალური ნორმების სრული დარღვევით. მის ადვოკატს ვესაუბრე, რომელმაც მითხრა, რომ დაზარალებულ ბაჯელიძეს არ აძლევენ საშუალებას, განცხადებით მიმართოს პროკურატურას, თქვას სიმართლე, რეალურად რა მოხდა. საქართველოში საგამოძიებო ორგანოების მხრიდან გამოძიება არც ერთ დონეზე ნორმალურად არ ხდება და დარღვევებია ნებისმიერი მოქალაქის მიმართ, ეს ფაქტია. მაგრამ როდესაც პირველი პრეზიდენტის ვაჟზეა საუბარი, ხელისუფლებამ, მით უმეტეს, ყურადღება უნდა გამოიჩინოს, რადგან საერთაშორისო საზოგადოების წინაშე სამარცხვინო მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.

**ეთერ მგალობლიშვილი,** — თავადაზნაურთა საკრებულოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი:

— თავადაზნაურთა საკრებულო უერთდება მოთხოვნას, ცოტნე გამსახურდიას უპირობო გათავისუფლების თაობაზე, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ცოტნე გამსახურდია არის უკანონო პატიმარი. არც ერთი ადამიანი არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი ბრალეულობა. ცოტნე გამსახურდიაც არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. პროკურატურა, გამოძიება და თვითონ დაზარალებული ვალდებულია ამტკიცოს ცოტნე გამსახურდიას ბრალეულობა. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ თავად დაზარალებული ცალსახად აცხადებს, რომ ის ცოტნე გამსახურდიას არ დაუჭრია. გამოძიებას არანაირი სამხილი არ აქვს, რომ ცოტნე გამსახურდია დამნაშავეა ამ საქმეში. თუნდაც ის ფაქტი, რომ დაზარალებულის დაკითხვა მოხდა მას შემდეგ, რაც ადვოკატმა დაკითხა, მიუთითებს იმაზე, გამოძიება ტენდენციურია, რადგან ის დაინტერესებულია, ცოტნე გამსახურდია წინასწარ დამანაშავედ ცნონ. კატეგორიულად მოვითხოვთ ცოტნე გამსახუდიას უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლებას.

**გოჩა ხარატიშვილი** — საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ჟურნალისტური გამოძიების ლიგის პრეზიდენტი:

— ჩვენ მოვითხოვთ ცოტნე გამსახურდიას უპირობო გათავისუფლებას, რადგან ის არის სინდისის პატიმარი, უდანაშაულო. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ისეთი პრეცედენტი, რომ დაზარალებული არ ადებდეს ხელს, მაგრამ პიროვნება მაინც დაპატიმრებული ჰყავდეთ. პროკურატურა ემყარება სრულიად უსაფუძვლო აზრს. საქმე სასწრაფოდ იქნეს გამოძიებული და ცოტნე გამსახურდია კი — გათავისუფლებული.

# რა კრიტერიუმებით არჩევს სააკაშვილი შესაწყალებელ პატიმრებს

## შეწყალების კომისიას არავინ არაფერს ეკითხება

შორენა გონგლა ე

**გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მორიგი შეწყალება შეწყალების კომისიის გვერდის ავლით მოხდება. რამდენად სწორია ხელისუფლების ეს ქმედება, ამასთან დაკავშირებით „ახალ თაობას" პარტია მომავალი საქართველოს ლიდერი გიორგი ლაღიძე ესაუბრება.**

***— არის ინფორმაცია, რომ შეწყალება განხორციელდება შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია სამართლებრივად ასეთი ქმედება?***

— სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში შეწყალება არ ხორციელდება იმ წესებით, რა წესითაც ყველა ნორმალურ სახელმწიფოში უნდა ხორციელდებოდეს. ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ტენდენცია, რომ შეწყალების კომისიას ხშირ შემთხვევაში არაფერს არ ეკითხებიან და შეწყალების კომისიის გვერდის ავლით ხდება იმ ადამიანების შეწყალება, ვის მიმართაც ხელისუფლებას გააჩნია გარკვეული სიმპათიები ან ინტერესი, ანუ ვინც სჭირდებათ არჩევნებთან დაკავშირებით, ვინც ითანამშრომლა გამოძიებასთან და ა.შ. ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან ცუდი, ვინაიდან ადამიანებს ეკარგებათ მომავლის იმედი და აქვთ უსამართლობის განცდა. წინა შეწყალება, რომელიც გიორგობას განხორციელდა, მაშინ შეწყალების კომისიამ განიხილა ოცი პატიმრის საქმე და ას ორმოცდაათზე მეტი პატიმარი შეიწყალეს. ფაქტიურად, ოცი პატიმრის გარდა, ყველა დანარჩენი პატიმარი შეწყალების კომისიის გვერდის ავლით იქნა შეწყალებული. ასეთი ტენდენცია ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, მაშინ ნუღარ იტყვიან, რომ ეს არის შეწყალება და პირდაპირ თქვან, რომ სახელმწიფო ათავისუფლებს იმ პატიმრებს, ვინც სარგებლობენ პრივილეგიებით.

***— ასეთი გახშირებული შეწყალებები რაზე მიანიშნებს, ეს მოახლოებული არჩევნების შედეგი ხომ არ არის?***

— ყველა ნორმალურ სახელმწიფოში პრეზიდენტი იყენებს თავის კონსტიტუციურ უფლებას, ის გამოდის ჰუმანურობის პრინციპებიდან და იწყალებს პატიმრებს. სხვათა შორის, შევარდნაძის პერიოდში შეწყალებები ხდებოდა საკმაოდ ინტენსიურად და თითქმის ყოველ თვეში ხორციელდებოდა შეწყალება. რატომღაც დღეს ყველაფერი ხდება პირიქით, დღეს ხელისუფლება მხოლოდ იმ პატიმრებს სწყლობს, რომლებიც შემდგომში მათ გამოადგებათ არჩევნების პერიოდში. ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა ხელისუფლებამ კრიმინალების მეშვეობით მოახერხოს არჩევნების მოგება.



***— რაც შეეხება საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, ოპოზიციის ნაწილი ამ ცვლილებებს აპროტესტებს, თქვენ რა პოზიცია გაქვთ?***

— ოპოზიციის ნაწილისთვის მიუღებელია ამ სახის ცვლილებები, მე ვფიქრობ, რომ უფრო მეტად არის დასახვეწი საარჩევნო კოდექსი. ბარიერთან დაკავშირებით ოპოზიციას ვფიქრობ, რომ არ უნდა შეეშინდეს, აქ საფრთხე უფრო სხვა კუთხიდან მომდინარეობს, ანუ ხელისუფლებამ შესაძლოა გამოიყენოს ადმინისტრაციული რესურსი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ ოპოზიციის მხრიდან, არასამთავრობო სექტორის მხრიდან არ იქნა შესაბამისი წნეხი, მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლება საკმაოდ წარმატებით გამოიყენებს ადმინისტრაციულ რესურსს. აქ ასევე არის სიების პრობლემა, მე არ ვიცი, რომელი წლის სიებით აპირებს ხელისუფლება არჩევნების ჩატარებას, დღეს სისტემატურად ხდება მოქალაქეების გადინება ქვეყნიდან, უფრო მეტმა ადამიანმა დატოვა საქართველო და ამ ყველაფერს ხელისუფლება ძალიან ლამაზად და შენიღბულად იყენებს. აქედან გამომდინარე ბევრ საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო სექტორმა უნდა გამოიჩინოს უფრო მეტი აქტიურობა და განახორციელოს მონიტორინგი, პირველ რიგში, სიებთან დაკავშირებით. შემდგომ უკვე თუ ყველაფერი იქნება გამართული, ხელისუფლების მიერ არჩევნების გაყალბების შანსები დავა მინიმუმამდე. ამისათვის საჭიროა ოპოზიციური სპექტრის ერთიანი წნეხი ხელისუფლებაზე.

***— ბოლო სამთავრობო ცვლილებებს როგორ შეაფასებთ?***

— შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება, შაშკინმა ბევრი არაფერი არ გააკეთა თანამდებობაზე ყოფნისას, მით უმეტეს, რომ მას ფაქტიურად ახალი სამინისტრო შეუქმნეს, თუმცა ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ შაშკინმა დიდი სამუშაოები გასწია. მე, როგორც ყოფილი ადამიანის უფლებათა დამცველი, მინდა განვაცხადო, რომ რეალურად არავითარი ცვლილებები არ არის განხორციელებული, ისევ ირღვევა პატიმართა უფლებები, და სადაც არ არის ამ კუთხით მდგომარეობა გამოსწორებული, აქედან გამომდინარე რა კრიტერიუმით აფასებენ შაშკინის მოღვაწეობას დადებითად, ჩემთვის გაუგებარია. ფაქტია, რომ ერთ წრეზე ტრიალებენ ეს სახელისუფლებო სახეები, შაშკინი გადაიყვანეს განათლების მინისტრად, გვარამია გაუშვეს სასწავლებლად და ასე შემდეგ. მე ვფიქრობ, ამ არაფრისმომცემი გადანაცვლებებით ძირეული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. სააკაშვილი ამ ე.წ. მინისტრებს იყენებს სათავისოდ, ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში ხდება ერთი ადამიანის ნებით.

***— მუშავდება სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში, თუმცა ხელისუფლების მხრიდან კეთდება განცხადება, რომ ისინი არ შეცვლიან მიდგომას ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, იქნება თუ არა ეს რეალური შედეგის მომტანი?***

— თუ გვინდა რეალურად შედეგის მიღება, ვფიქრობ, რომ პირველ რიგში უნდა გააქტიურდეს სახალხო დიპლომატია და ამ გზით უნდა განვითარდეს ურთიერთობები. თავისთავად ამაში ცუდი არაფერი არ არის, თუმცა ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ჩვენ დავიბრუნოთ ეს ტერიტორიები. აქ ხელისუფლების მხრიდან მკვეთრი, გაბედული და ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. ეს საკითხი არც ისე ადვილი მოსაგვარებელია, მაგრამ თუ იქნება ხელისუფლების მხრიდან გონივრული პოლიტიკა გატარებული, გარკვეული წინსვლა ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მოსალოდნელია, მაგრამ მე ცოტა მეეჭვება, ვინაიდან ხელისუფლებამ, რომელმაც ერთი წლის წინ დაუშვა ამხელა შეცდომა და წამოეგო რუსეთის პროვოკაციას, დიდი იმედი ნამდვილად არ მაქვს, რომ მათი მხრიდან იქნება გონივრული ნაბიჯები გადადგმული.


X-XIII ს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
<u>სწრაფი გადახდის აპარატები</u>

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

## სასჯელაღსრულებაში ოთხი რეაბილიტირებული დაწესებულების გახსნა იგეგმება

საქართველოში 2010 წლისთვის სასჯელაღსრულების ოთხი რეაბილიტირებული დაწესებულების გახსნა იგეგმება.

ამის თაობაზე პარლამენტის ადამიანთა უფლებათა დაცვის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების აწ უკვე ყოფილმა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა განაცხადა, რომელიც კომიტეტის წევრებს წინაშე გაწეული სამუშაოების ანგარიშით წარდგა.

მისი ინფორმაციით, 2010 წელს იანვარში არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების ახალი ადმინისტრაციული შენობა, მარტში ქალთა საერთო და რეჟიმის და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება, თებერვალში კი ქსნის №7 საერთო, მკაცრი რეჟიმის და საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება და ასევე, რუსთავის №1 საპყრობილის რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულება გაიხსნება.

ამასთან, შაშკინმა აღნიშნა, რომ 2010 წელს ტუბერკულიოზით დაავადებულთა მსჯავდებულების სამკურნალო დაწესებულების განახლება, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სამსახურის 65 ოფისის განახლება და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა განხორციელდება.

კომიტეტის წევრებმა შაშკინის 10-თვიანი მუშაობა დადებითად შეაფასეს.

**პირველი**

## ეროვნულ ბიბლიოთეკაში „ლიტერატურული შედევრების“ პრეზენტაცია გაიმართა

ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამომცემლობა „ტრიასის“ ახალი პროექტის „ლიტერატურული შედევრები“ ორტომეულის პრეზენტაცია გაიმართა.

პროექტზე ერთი წლის განმავლობაში გია მურღულიას ხელმძღვანელობით გამოცდილ ფილოლოგთა ჯგუფი მუშაობდა.

ორტომეულში 38 ქართველი და 63 უცხოელი კლასიკოსის ნაწარმოებების მოკლე შინაარსია შესული. მსგავსი პროექტი საქართველოში პირველად განხორციელდა, თუმცა საზღვარგარეთ უკვე დიდი ხანია ამის პრაქტიკა არსებობს.

გია მურღულიას განცხადებით, მოკლე შინაარსის პროფესიული გადმოცემა მხატვრული ნაწარმოების არსებაში შეღწევისა და მასში გარკვევის საინტერესო მცდელობაა და მკითხველს ძირითადი აქცენტების გაკეთებაში ეხმარება. ამასთან, ეს არის წინასწარი და სწრაფი გაცნობის შესანიშნავი შესაძლებლობა და ლიტერატურის პოპულარიზებას უწყობს ხელს.

პრეზენტაციას ლიტერატორები, განათლების სამინისტროსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის, ასევე დედაქალაქის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**პირველი**

## ოსებმა ქართველი მოზარდები არ გაათავისუფლეს

გუშინ მთელი დღის მანძილზე, უშედეგოდ დასრულდა ოჯახისა და ახლობლების მოლოდინი ერგნეთში, სადაც 2009 წლის 4 ნოემბერს ოსი სეპარატისტების მიერ ტირძნისიდან გატაცებული კიდევ ორი ახალგაზრის განთავისუფლებას ელოდნენ.

ისინი მას შემდეგ დაიშალნენ, რაც მათთან მისულმა შიდა ქართლის გუბერნატორმა ლადო ვარძელაშვილმა და დეპუტატმა გია თორთლაძემ განაცხადეს, რომ მოზარდების განთავისუფლება საქართველოში ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის, თომას ჰამერბერგის ვიზიტის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

გუშინ საქართველოს ხელისუფლებამ დაადასტურა ინფორმაცია ხუთშაბათს, 17 დეკემბერს, საქართველოში თომას ჰამერბერგის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ქართული მხარის განცხადებით, თომას ჰამერბერგი ცხინვალის რეგიონში ჩავა და ტირძნისიდან გატაცებული ორი მოზარდის: ვიქტორ ბუჩუკურისა და ლევან ხმიადაშვილის განთავისუფლების საკითხში ხელმეორედ ჩაერთვება. 13 დეკემბერს, არსებული შეთანხმებით, ცხინვალში დარჩენილი ორი მოზარდიც უნდა განთავისუფლებულიყო, თუმცა როგორც ლადო ვარძელაშვილმა განაცხადა, ცხინვალის მხარის დაპირებაც, სამუშაო დღის დასაწყისში მოხდებოდა მზოარდების გათავისუფლება, ყალბი აღმოჩნდა.

**მედიანიუსი**


## განცხადებები

● კომპიუტერებისა და ლეპტოპების პროგრამული და ტექნიკური მხარის უზრუნველყოფა (ვინდოუსის გადაყენება, ანტივირუსის დაყენება, ვირუსებისგან გაწმენდა და ა.შ.) ხელმისაწვდომ ფასად. ტელ: 895-236-444 გიორგი.

● სილამაზის სალონ „შარმში“ უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. მის: მ.მარჯანიშვილი, ალმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

## SMS-განცხადებები

● იყიდება სამშენებლო მასალები: ცემენტი, სილა, გაჯი, ხრეში, აგური, წებო-ცემენტი. ადგილზე მიტანით, საბითუმო ფასად. ტელ.: 877 47 77 67

**განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება/**


## ოთარ ჭილაძე გარდაცვალების შემდეგ დააჯილდოვეს

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საერთო კრება მოეწყო, სადაც 12 ქართველი მეცნიერი მათი ნაშრომებისთვის 3000 ლარის ოდენობის ფულადი და სახელობითი პრემიებით დააჯილდოვეს. ფულადი ჯილდო მეცნიერებისთვის საქველმოქმედო ჯგუფმა „ქართუმ“ დააწესა. დაჯილდოების ცერემონიალი კი მეცნიერებათა აკადემიაში საგანგებო საბჭოს სხდომაზე გაიმართა, სადაც ლაურეატები 2009 წლის 30 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად დააჯილდოვეს.

მწერალ ოთარ ჭილაძეს გარდაცვალების შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის პრემია მიენიჭა, მისი პირველი რომანისთვის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. მწერლისთვის განკუთვნილი პრემია მისმა ძმამ თამაზ ჭილაძემ მიიღო. პოეტი მუხრან მაჭავარიანი პოეტ-აკადემიკოსად დასახელდა, თამაზ გამყრელიძეს კი საქართველოში უნგრეთის სრულუფლებიანმა ელჩმა საპატიო აკადემიკოსის წოდება მიანიჭა.

მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ პრემია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებსაც მიანიჭა. ელენე მაჭავარიანსა და ქეთევან ბეზარაშვილს აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის პრემია მიანიჭათ. ელენე მაჭავარიანმა პრემია მიიღო ნაშრომთა ციკლისათვის „ქართულ სამწერლობო ცენტრებში შექმნილ ხელნაწერთა მხატვრული მორთულობის საკითხები“, ხოლო ქეთევან ბეზარაშვილს პრემია ნაშრომისათვის „რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების მიხედვით“ მიენიჭა.



მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას კონკურსი გამოცხადებული ჰქონდა გამოჩენილ მეცნიერთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა პრემიების მისანიჭებლად, რომელიც საქართველოს სამეცნიერო□კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლებლებსა ან სხვა დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერებს თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის საუკეთესო ნაშრომისათვის მიენიჭებოდა.

თამაზ ჭილაძე:

— ეროვნული აკადემიის მიერ დაწესებული პრემია, მგონია, რომ ყველა მწერლისთვის საპატიო და ამავე დროს საამაყოა. ძალიან ვწუხვარ, რომ თვითონ ოთარი არ იღებს ამ ჯილდოს. ოთარის გარდაცვალებით ქართულმა მწერლობამ ნამდვილად დიდი დანაკლისი განიცადა. დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო და ჩემი ძმა ასე დააფასა.

## ბაბილინა საახალწლო მასტერკლასებს ატარებს

*ეკა ირემაშვილი*

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ყველა პატარასთვის საყვარელმა ბაბილინამ საახალწლო მასტერკლასების ჩატარება დაიწყო. ბაბილინა უკვე წლებია მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის აღსაზრდელებს თავის პროფესიულ გამოცდილებას უზიარებს.

წინასაახალწლოდ სასახლეში ზღაპრის გმირები ცოცხლდებიან და თავის ნიჭიერებას ბაბილინას აცნობენ. ამჯერად საახალწლოდ ეროვნულ სასახლეს მერი პოპინსი, ურჩხული და მზეთუნახავი, ესმერალდა, კვაზიმოდო, ყინულის დედოფალი, ოჩოპინდრე და ოჩოდალი, ჩექმებიანი კატა, პეპი მაღალი წინდა, რობინ ჰუდი, სალამურა და ბაია, ნამცეცა, ფიფქია და უფლისწული, მალვინა, ფიროსმანის მარგარიტა, ნაცარქექია და ბაყბაყდევი, ასფურცელა, კომბლე, კონკია, ხუთკუნჭულა, წითელქუდა, მძინარე მზეთუნახავი, ბურატინო, ადამიანი ობობა, წუნა და წრუწუნა, ალისა ეწვივნენ.

ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავის დოდო ჭიჭინაძის პატივსაცემად კი ზღაპრის გმირებს ბაში-აჩუკი და ნინო შეუერთდებიან.

— მიუხედავად იმისა, რომ ბაში-აჩუკი და მისი ნინო არ არიან ზღაპრის გმირები, ჩვენ ისინი საახალწლო დღესასწაულში დოდო ჭიჭინაძის ხსოვნის გამო ჩავრთეთ. ჩვენ ტრადიციად გვაქვს, რომ ყოველ წელს ჩვენთან ბაბილინა — ნატო სულხანიშვილი მოდის და მასტერკლასს გვიტარებს. ახალ წლამდე ხომ ცოტა დრო დარჩა, ამიტომ გვინდა ყველანი ბედნიერები და ზღაპრული განწყობით შევხვდებთ ახალ 2010 წელს, — გვითხრა ბავშვების პედაგოგმა ინეზა აბესაძემ.

## „გოგონა სლაიდიდან“ უკვე „ამირანშია“

*ეკა ირემაშვილი*

ქართულ კინემატოგრაფში სასიამოვნო ძვრებია. ორი თვის განმავლობაში ერთმანეთის მიყოლებით ქართველმა კინორეჟისორებმა კინოს მოყვარულებს რამდენიმე ახალი კინოსურათი შესთავაზეს. საზოგადოებაში მომღერლის სტატუსით ცნობილმა გიგა აგლაძემ კინოთეატრ „ამირანში“ საზოგადოება თავისი კინოფილმის „გოგონა სლაიდიდან“ პრემიერაზე დაპატიჟა.

სიყვარულის თემაზე გადაღებული ფილმი „90/60/90 ანუ გოგონა სლაიდიდან“ რეჟისორის მიერ კომედია-მელოდრამის ჟანრშია გადაწყვეტილი. ფილმის მთავარი გმირი მამაკაცი, სიყვარულის გამო, ქალად იქცევა. რაც მთავარია, მამაკაცს ასეთი მსხვერპლი ნამდვილად დაუფასდება და როგორც ფილმების უმეტესობაშია, ყველაფერი ჰეფი ენდით დასრულდება.

ფილმის გადაღება შემოქმედებითმა ჯგუფმა ზაფხულის ბოლოს დაიწყო და შემოდგომის ბოლოს დაასრულა. გიგა აგლაძის კინოფილმში მთავარ როლებს ზუზუ ანუ ზაზა ბეჟაშვილი და სამოდელო სააგენტო „სლაიდის“ მოდელი ნათია ახვლედიანი ასრულებენ. ფილმშიც ძირითადად ამ სააგენტოს მოდელები არიან დაკავებული. სამოდელო სააგენტო „სლაიდი“ კი რეჟისორის მეუღლეს ეკუთვნის. გიგა აგლაძემ ახალ ფილმში ბევრი ცნობილი ადამიანი მიიწვია და მათთვის ცხოვრებისეული სახელები უცვლელი დატოვა. ქართველ ლამაზმანებთან ერთად ფილმში ეკა ჩხეიძე, ზურაბ ყიფშიძე და სხვა პროფესიონალი მსახიობებიც მონაწილეობენ. მსოფლიო კინოშედევრის „ტუტსის“ ქართული ვერსიის წყალობით, რეჟისორი მაყურებელს გულიანი სიცილის საშუალებას აძლევს. ფილმში მთავარი როლის შემსრულებელი მამაკაცი სწორედ ტუტსივით იქცევა — ქალის სამოსს იცვამს, თუმცა ტუტსისგან განსხვავებით მოდელი ხდება და საყვარელი ქალის მოხიბვლას იწყებს.

— მართალია 72 არაპროფესიონალ მსახიობთან ვიმუშავე, მაგრამ მათთან ურთიერთობა ნამდვილად სასიამოვნოდ მახსენდება. ამდენ ლამაზმანთან ერთად გადასაღებ მოედანზე ზურაბ ყიფშიძე იდგა, რომლის თანხმობაც ჩემს კინოში მონაწილეობაზე, ნამდვილად დიდი პატივია. ჩემთვის მთავარია, მაყურებელი კინოში ცოტათი განიტვირთოს და დარბაზი სასიამოვნო განცდებით დატოვოს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ ფილმი ამ სტილში გადაგვეღო. იმედია მაყურებელს მოეწონა და ოდნავ მაინც გაიხალისა პრობლემებით და საზრუნავით გადატვირთული ცხოვრება, — აცხადებს ფილმის რეჟისორი.

## ფრანკფურტში ქართველი პიანისტები დაუკრავენ

*ეკა ირემაშვილი*

გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში უკვე დაგეგმილია საშობაო კონცერტი, სადაც კლასიკურ ნაწარმოებებს ქართველი პიანისტები შეასრულებენ. საშობაო კონცერტის ორგანიზატორები ახლახან დაარსებულ საქართველოს ხელოვნების აკადემიასთან ერთად ფრანკფურტის ქართული სათვისტომო და ქართული კულტურის ფორუმი არიან.

გერმანიაში საშობაო კონცერტი, რომელზეც კლასიკური ნაწარმოებები აჟღერდება, 16 დეკემბერს არის დაგეგმილი. საღამოზე სხვადასხვა ნაწარმოებებს ხელოვნების აკადემიის დამაარსებელი ცნობილი ქართველი პიანისტი ვალერიან შიუკაშვილი და სამი ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსი შეასრულებენ.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ფრანკფურტის ქართული სათვისტომოს და ქართული კულტურის ფორუმის ორგანიზებით, 31 დეკემბერს საგანგებოდ ქართული დიასპორის საახალწლო საღამოც გაიმართება, თუმცა ეს ყველაფერი არ არის. უკვე ახალ 2010 წელს ლიტერატურული საღამოს მოწყობაა დაგეგმილი, რომელზეც მიწვეულნი იქნებიან ლაშა ბუღაძე, ბაკურ სულაკაური, ზაზა ბურჭულაძე და დავით ქართველიშვილი.

ფრანკფურტის ქართული სათვისტომო და ქართული კულტურის ფორუმი ფრანკფურტში 2005 წლიდან მოღვაწეობს. უკვე ოთხი წელია, ფრანკფურტში ქართული სათვისტომოსა და ქართული კულტურის ფორუმის დაარსებიდან მოყოლებული, გერმანიაში ქართული საკვირაო სკოლა ფუნქციონირებს, სადაც ორი ასაკობრივი ჯგუფია წარმოდგენილი. ფრანკფურტში მოღვაწე ქართველთა დაუღალავი შრომის შედეგად დღემდე მათ 37 სხვადასხვა სახის ღონისძიება აქვს ჩატარებული. მათ შორის ბიზნეს-შეხვედრები, კონცერტები, გამოფენები, სემინარები თუ საუნივერსიტეტო პოდიუმ-დისკუსიები.

გერმანიაში მოღვაწე ქართველები ერთდროულად ორ უმნიშვნელოვანეს საქმეს ემსახურებიან — ქართული სოციუმის გერმანულ სოციალურკულტურულ გარემოში ინტეგრაციის პრობლემების გადაჭრას აგვარებენ და პარალელურად ქართული კულტურის პოპულარიზაციას უწყობენ ხელს, რაც ქართულ-გერმანული კულტურული დიალოგის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ქართული სათვისტომოსა და ქართული კულტურის ფორუმის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ 2008 წლის აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა რეალურად ცხადყო, რამდენად მნიშვნელოვანია უცხოეთში დიასპორების მოღვაწეობა საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად, ვინაიდან სწორედ ასეთი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა სოციალურმა და კულტურულმა ღონისძიებებმა უნდა განამტკიცოს საქართველოს დადებითი იმიჯი ევროპაში და მოამზადოს საზოგადოებრივი აზრი საქართველოს ევროპული თანაცხოვრების კონტექსტში.

## ლიტერატურული შედევრები ორტომეულში გაერთიანდა

*ეკა ირემაშვილი*

ერთწლიანი შეუჩერებელი მუშაობის შემდეგ გამოცდილ ფილოლოგთა ჯგუფმა დაასრულა ლიტერატურული შედევრების ორტომეულზე მუშაობა, რომლის პრეზენტაციასაც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართავს.

15 დეკემბერს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამომცემლობა „ტრიასის“ ახალი პროექტის „ლიტერატურული შედევრების“ ორტომეულის პრეზენტაცია მოეწყობა. პროექტზე მომუშავე გამოცდილ ფილოლოგთა ჯგუფს გია მურღულია ხელმძღვანელობდა.

საპრეზენტაციოდ გამზადებულ ორტომეულში შეტანილია 38 ქართველი და 63 უცხოელი კლასიკოსის ნაწარმოებთა მოკლე შინაარსები. ასეთი პროექტი საქართველოში პირველად განხორციელდა, სამაგიეროდ, ამის პრაქტიკა საზღვარგარეთ უკვე დიდი ხანია არსებობს.

„ლიტერატურული შედევრების“ ორტომეულის პრეზენტაციაზე თბილისის მერიის, საკრებულოს წარმომადგენლები, ლიტერატორები, განათლების სამინისტროს, გამოცდების ეროვნული ცენტრის მესვეურები არიან დაპატიჟებული.

# ჟურნალისტები მოურინიოს წინააღმდეგ

იტალიის ჟურნალისტთა ასოციაცია მილანის „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის, ჟოზე მოურინიოს დასჯას მოითხოვს.

იტალიური მედიის ცნობით, პორტუგალიელმა სპეციალისტმა, რომელიც არასდროს გამოირჩეოდა ჟურნალისტების მიმართ კეთილგანწყობით, იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ატალანტასა“ და „ინტერის“ (1:1) მატჩისას, ერთ-ერთ რეპორტიორ ანდრეა რამაზოტის ხელი ჰკრა და შეურაცხყოფა მიაყენა.

— ჩვენი მოთხოვნაა, ეს საქმე სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ განიხილოს, შეაფასოს მოურინიოს ქმედება და შესაბამისი სანქცია დაუწესოს, — განაცხადა იტალიელ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ლუიჯი ფერაოლომ.

# პეპე ამ სეზონს დაემშვიდობა

მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელ ფეხბურთელ პეპესთვის წლევანდელი სეზონი დასრულდა. ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩში „ვალენსიასთან“ პეპე პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს. როგორც გაირკვა, ტრავმის გამო, ხოლო გამოკვლევამ დაადგინა, რომ პორტუგალიელ ფეხბურთელს ჯვარედინი მყესები აქვს დაზიანებული, რაც ფეხბურთელის ერთ-ერთ ყველაზე ცუდ ტრავმად ითვლება, რომლის შემდეგ დიდ ფეხბურთში დაბრუნება ფეხბურთელებს ძალიან უჭირთ.

ექიმების ცნობით, პეპეს მინიმუმ 6 თვის განმავლობაში არ შეეძლება მოედანზე დაბრუნება. ასე რომ, პეპემ შესაძლოა, არა მარტო ესპანეთის ჩემპიონატი, არამედ მსოფლიოს ჩემპიონატიც კი გამოტოვოს, რაც პორტუგალიის ნაკრებისთვისაც დიდი დანაკლისი იქნება.

მადრიდული კლუბის სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ დაადასტურა, რომ პეპეს საოპერაციო მაგიდაზე მოუწევს დაწოლა და არ არის გამორიცხული, რომ მისი შემცვლელის ძებნაზე კლუბმა ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს იზრუნოს. სადღეისოდ კი პეპეს არყოფნაში რაულ ალბიოლთა დაცვის ცენტრში წყვილში თამაში ესაკიელ გარაის მოუწევს, რომელმაც იმავე „ვალენსიასთან“ მატჩში (3:2) გამარჯვების გოლი გაიტანა. ამასთან, მანუელ პელეგრინის ახალგამოჯანმრთელებული კრიშტოფ მეცელდერის იმედიც აქვს.

ექიმ ხუან კარლოს ერნანდესთან საუბრის შემდეგ კლინიკიდან გამოსულმა ხორხე ვალდანომ კომენტარი გააკეთა.

— პეპე შეუცვლელი ფეხბურთელია და მისი მსგავსი მცველის მოძებნა საფეხბურთო ბაზარზე ძალიან ძნელია. უკვე ამ წუთიდან ჩვენ უკვე ვფიქრობთ, თუ ვინ შეიძლება მოვიძიოთ მის სანაცვლოდ, რათა გუნდმა თავი უფრო კომფორტულად იგრძნოს, მაგრამ ჯერ ვერავინ ვიპოვეთ. ახალი მცველის შეძენას, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავთ, მაგრამ ვარიანტები ცოტა გვაქვს. ყველაფერს ზამთრის შესვენებისას გავარკვევთ, — განაცხადა ვალდანომ.

# სისხლიანი ხიხონი

ესპანეთის ჩემპიონატის მე-14 ტურის მატჩის წინ „სპორტინგსა“ და „სევილიას“ (0:1), ხიხონის ქუჩებში დიდი სისხლისღვრა იყო. ამ გუნდების გულშემატკივართა შორის მომხდარი შეტაკების შედეგად 12 ადამიანი საავადმყოფოში მოხვდა.

ესპანური მედიის ცნობით, ჩხუბში რკინის ჯოხითა და სხვადასხვა საგნებით შეიარაღებული 200-მდე გულშემატკივარი მონაწილეობდა, რომლებმაც სისხლიანი შეტაკება მოაწყვეს და ამასთან სტადიონის სიახლოვეს განთავსებულ ავტოსადგომზე სერიოზული ზიანი მიაყენეს მშვიდობიანი გულშემატკივრების ავტომანქანებს.

# ერთი მედლით იაპონიიდან

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სამწუხაროდ, დანარჩენ წონით კატეგორიებში ძალიან დავიჩაგრეთ. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილმა ერთი ბრძოლის მოგება მოახერხა უნგრელ ტაბორ მაიერთან, ხოლო შემდეგ თავად დამარცხდა მასპინძელ მასააკი ფუკუოკოსთან. 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში შალვა ქარდავა კი პირველსავე ბრძოლაში დამარცხდა მონღო ცანგააბაატარ ხაშბაატართან.

შემდეგი მოჭიდავე ჩვენებს უკვე 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჰყავდათ, თანაც — 2. ლევან წიკლაურმა ლატვიელ აილარს მილენბერგსთან მოგების შემდეგ უზბეკ შოკირ მუმინოვთან წააგო, ხოლო დავით კუპრაშვილი პირველი შერკინებისას დამარცხდა იაპონელ კაცუში მაცუმოტოსთან.

წარმომადგენელი არც 90 კილოგრამ წონაში გვყავდა, ხოლო 100 კიგორამ წონით კატეგორიაში ჟორჟოლიანის გარდა ნოდარ მეტრეველიც გამოდიოდა, რომელმაც გერმანელ ბერჯამინ ბერლასთან პირველი ბრძოლაში წააგო. მძიმე წონაში კი მეოთხედფინალამდე გააღწია ადამ ოქრუაშვილმა, რომელმაც გზიდან ლატვიელი ვლადიმირ ოსკანსი და რუსი დიმიტრ სტერხოვი ჩამოიშორა და შემდეგ დამარცხდა უზბეკ აბდულო ტანგრიევთან, რომელიც ქართული კლუბის „საგარეჯოს“ წევრია. ერთადერთხელ მოუწია ტატამზე გასვლა იოსებ მსხალაძეს, რომლის წინსვლა ბრაზილიელმა ვალტერ სანტოსმა შეაფერხა.

# ყველაზე ძვირები

დიდ ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს და ამაში გასაკვირიც არაფერია. საფეხბურთო ბაზარზე მილიონების ტრიალი უცხო არ არის — ყოველწლიურად გუნდები უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ ახალი ფეხბურთელების შესაძენად. წლების განმავლობაში ამ მხრივ იტალიელები პირველ ადგილზე იმყოფებოდნენ, თუმცა, ბოლოს უკვე ესპანელებმა (უფრო მართლები ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ მადრიდის „რეალმა“) ყველას აჯობეს. ესპანელებზე შემდეგში ვისაუბროთ, ახლა კი 10 ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერი, რომელიც იტალიის სერია ა-ში განხორციელებულა.

10. ხუან სებასტიან ვერონი, 28.100.000 გირვანქა სტერლინგი, (2001 წელი)ყველაზე ძვირადღირებული საყრდენი ნახევარმცველი მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში. ვერონი არა მარტო საუკეთესო ჩამშლელად ითვლებოდა, არამედ ბევრიც გაჰქონდა. სწორედ ამ შედეგიანობის გამო 28 მილიონ გირვანქა სტერლიგად შეიძინა „ინტერიდან“ „მანჩესტერმა“, რომლის შემადგენლობაში 53 მატჩი ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა.

9. რონალდო, 28.490.000, (2002)„კიჭას“ ფასი 90-იანი წლების ბოლოს ყოველწლიურად იზრდებოდა. ჯერ „ბარსელონადან“ „ინტერში“ 25 მილიონ გირვანქად გადავიდა, ხოლო შემდეგ მადრიდის „რეალში“ 28,5 გორვანქად გაიყიდა. ამ ფეხბურთელზე ბევრი საუბარი ზედმეტადაც მიგვაჩნია, რადგან ბოლო დორის ერთ-ერთ საფეხბურთო გენიად ითვლება. იტალიაში, ბოლო 10-წლეულის საუკეთესო ფეხბურთელადაც მიიჩნიეს. ხოლო „რეალს“ მასში გადაყრილი ფული არ უნანია — 127 მატჩში 83 გოლი გაიტანა.

8. პაველ ნედვედი, 30.600.000 (2001)ნედვედი ტურინის „იუვენტუსის“ გულშემატკივრებისთვის დღესაც კულტად რჩება. ჩეხი ფეხბურთელი „ლაციოდან“ მას შემდეგ აიყვანეს, რაც „იუვენტუსი“ ზინედინ ზიდანმა დატოვა. მის ტრანსფერში გადახდილი თანხა ფეხბურთელმა 100 პროცენტით გაამართლა, თუმცა, კარიერა ცოტა დრამატული ჰქონდა. ყვითელი ბარათების სიმრავლის გამო ჩემპიონთა ლიგის ფინალი გამოტოვა, მაგრამ იმავე წელს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე კი ტრავმა მიიღო (რის გამოც ძალიან ბევრი გაუცდა) და ჩეხეთის ნაკრებმა ნახევარფინალში წააგო ბერძნებთან. ნედვედი „იუვენტუსის“ საუკეთესო შენაძენად რჩება ბოლო 10 წლის მანძილზე.

7. ანდრეი შევჩენკო, 30.800.000, (2006)წლების განმავლობაში „მილანის“ ლიდერად ითვლებოდა და სერია ა-ს საუკეთესო მთავარმეგოლე იყო, მაგრამ 2006 წელს განაცხადა, რომ ოჯახური პირობების გამო კლუბის გამოცვლა და ლონდონში გადასვლა სურდა. ღომან აბრომოვიჩმა 30 მილიონზე მეტი გაიღო, რათა უკრაინელი ფეხბურთელი „ჩელსიში“ ეხილა, მაგრამ ეს ერთ-ერთ იმ იმედგაცრუებულ ტრანსფერთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელშიც ფული ტყუილად დააბანდეს — შევასა და „ჩელსის“ ურთიერთობა არ შედგა.



6. კრისტიან ვიერიამ ფეხბურთელმა კარიერის მანძილზე ბევრი კლუბის გამოცვლა მოასწრო და ყველგან იმ დროისთვის ასტრონომიულ ფასად იყიდებოდა. მოვლილი აქვს სერია ა-ს ყველა გრანდი, ფრანგული „მონაკო“ და ესპანური „ატლეტიკო“. 200 წელს რომის „ლაციოდან“ „ინტერში“ 31 მილიონ გირვანქა სტერლინგად გადავიდა და იმ დროისთვის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი შეიქნა. შენაძენმა მართლაც გაამართლა — ვიერიმ „შავ-ლურჯ“ მაისურში 144 ოფიციალურ მატჩში 103 გოლი გაიტანა, თუმცა, შემდეგ მათი ურთიერთობა არ აეწყო და ახლა ფეხბურთელი კლუბისთვის ჩივილს და მისი შავბნელი საქმიანობის სააშკარაოზე გამოტანას აპირებს.

5. ჯან ლუიჯი ბუფონი, 32.600.000, (2001)32 მილიონი გირვანქა სტერლინგი — ყველაზე დიდი თანხა, რომელიც საერთოდ გადახდილა მეკარის შესაძენად. უნდა ითქვას, რომ ეს თანხა მყისვე იქნა ამოღებული — ჯიჯი „იუვენტუსის“ ნამდვილ ლიდერად იქცა და დღესდღეობითაც მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეტესო მეკარედ (თუ საუკეთესოდ არა) ითვლება. ბუფონი პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც „პარმას“ უეფას თასი მოაგებინა 1999 წელს — ჯიჯი და კიდევ ერთი მისი თანაგუნდელი ერნან კრესპო იმ დროისთტვის დიდ თანხად გაიყიდნენ და „პარმამაც“ სოლიდურად მოითბო ხელი, მაგრამ სწორად ვერ გამოიყენა და შემდეგ გუნდი გაკოტრდა.

4. ერნან კრესპო, 36.000.000, (2000)არგენტინელი ფეხბურთელის კარიერაში ალმასვლაც ბევრი იყო და დაცემაც. კრესპო ფიფას მიერ შედგენილი მსოფლიოს 100 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში შედის. სწორედ მისი დამსახურებაც არის, რომ „პარმამ“ ერთ სეზონში იტალიის თასისა და უეფას თასის აღება მოახერხა და ამის შემდეგ შეიძინა „ლაციომ“ 36 მილიონ გირვანქა სტერლინგად.

3. კაკა, 57.500.000 (2009)რიკარდო კაკა ტყუილად არ მოუნათლავთ „ოქროს ბიჭუნად“. ფანტასტიკური ტექნიკა, სისწრაფე, მოედნის ხედვა, სწორი, აზრიანი გადაცემების გაკეთება და თავადაც ხშირად გოლების გამტანი. 2006-07 წლების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში საკუთარი ბეჭებით ათრია „მილანი“ და თასი მოაგებინა. სწორედ მაშინ გახდა ფიფას მიერ დაწესებული „ბრილიანტის ბურთის“ მფლობელი. მისი ტრანსფერი შესაძლოა, ამჟამად ყველაზე ძვირადღირებული ყოფილიყო, მაგრამ „მილანმა“ 100 მილიონიანი შემოთავაზება უარყო „მანჩესტერ სიტისგან“ და 57,5 მილიონად მიჰყიდა „რეალს“.

2. ზლატან იბრაჰიმოვიჩი, 62.300.000, (2009)მილანის „ინტერის“ ლიდერმა, რომელიც 2008-09 წლების სეზონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა სერია ა-ში, არაერთხელ განაცხადა, რომ „ინტერი მისი მშობლიური კლუბია და არაფერზე გაცვლის, მაგრამ სიტყვები სიტვებად დარჩა. შვედი ფეხბურთელი საფეხბურთო ბედნიერების საპოვნელად კატალონიაში გაემგზავრა. იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერი შესაძლოა, ყველაზე ძვირადღირებულადაც ჩაითვალოს, რადგან თანხასთან ერთად „ინტერმა“ სამუელ ეტოოც მიიღო, რომელიც 20 მილიონ გირვანქად იყო შეფასებული.

1. ზინედინ ზიდანი, 64.415.000, (2001)უკვე 8 წელი გავიდა და ზიზუს ტრანსფერი ისევ რჩება ყველაზე ძვირადღირებულად სერია ა-ში, ხოლო საერთოდ საფეხბურთო სამყაროში, მხოლოდ გასულ ზაფხულს კრიშტიანუ რონალდუს ტრანსფერის შემდეგ მეორე ადგილზე რჩება. 2001 წლისთვის კი მისი ტრანსფერი ყველაზე ხმაურიანი და სენსაციური გამოდგა, არადა, თავად „იუვენტუსს“ ძალიან სურდა მისი შენარჩუნება, მაგრამ ფეხბურთელზე გავლენა იქონია მისმა მეუღლემ — ვერონიკა ფერნანდესმა, რომელიც ქალაქ ტურინით იყო უკმაყოფილო. საბოლოოდ, ზიდანი უფრო თბილ ქალაქ მადრიდში გადავიდა, სადაც დაასრულა თავისი ფენომენალური საფეხბურთო კარიერა.

# თასზე ნახევარფინალისტები დაწყვილდნენ

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გათამაშება დასასრულისკენ მიდის, თუმცა, ამ ყველაფერს მხოლოდ მომდევნო წელს თუ ვიხილავთ, მანამდე კი ნახევარფინალის წილისყრით დავკმაყოფილდეთ, რომელიც გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში გაიმართა.

წილისყრას პფლ-ის გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანი და საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელი ნოდარ კაკულია უძღვებოდნენ. საბოლოოდ, გუნდები ასე დაწყვილდნენ — „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) და „ვიტ ჯორჯია“ (თბილისი) — მერანი (მარტვილი).

თუ საფეხბურთო პროგნეზებს მოვიშველიებთ, წესით, თბილისური ფინალი უნდა შედგეს, მაგრამ სათასო ბატალიები პროგნოზებს არ ცნობენ და ყველაფერი შესაძლებელია. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ საზოგადოებაში მუსირებულ აზრს, რომლის თანახმად ცხინვალის „სპარტაკი“ საქართველოს სახელით ევროთასებზე იასპარეზებს, მაშინ მით უფრო უნდა ველოდოთ თბილისურ ფინალს.

პირველი მატჩები 23-24 მარტს გაიმართება, ხოლო საპასუხო — 10 აპრილს, თასის ფინალი კი 25 მაისისთვის არის დაგეგმილი.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ლივერპული-არსენალი | 1:2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| მიდლსბრო-კარდიფი | 0:1 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ატალანტა-ინტერი | 1:1 |
| კატანია-ლივორნო | 0:1 |
| კიევო-ფიორენტინა | 2:1 |
| ლაციო-ჯენოა | 1:0 |
| მილანი-პალერმო | 0:2 |
| პარმა-ბოლონია | 2:1 |
| სიენა-უდინეზე | 2:1 |
| სამპდორია-რომა | 0:0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალმერია-დეპორტივო | 1:1 |
| ვალიადოლიდი-მალაგა | 1:1 |
| ოსასუნა-მალიორკა | 0:1 |
| რასინგი-ხერესი | 3:2 |
| ხეტაფე-ტენერიფე | 2:1 |
| ატლეტიკო-ვილეარეალი | 1:2 |
| ხიხონი-სევილია | 0:1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კართაგენა-სალამანკა | 3:4 |
| ბეტისი-ტარაგონა | 3:0 |
| კადისი-ლას პალმასი | 0:0 |
| რეალ უნიონი-უესკა | 1:1 |
| სელტა-ელჩე | 2:1 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| მაინცი-შტუტგარტი | 1:1 |
| ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 1:3 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| არმინია-უნიონი | 1:1 |
| ზ.პაული-ფიურტი | 2:2 |
| დიუსელდორფი-ობერჰაუზენი | 2:0 |

**საფრანგეთი. I ლიგა**

| | |
|---|---|
| მონაკო-ლილი | 0:4 |
| პსჟ-სენტ ეტიენი | 3:0 |
| სოშო-გრენობლი | 1:0 |
| ტულიზა-მონპელიე | 0:1 |
| ლიონი-ბორდო | 0:1 |

**პორტუგალია. ა ლიგა**

| | |
|---|---|
| აკადემიკა-ლეიშეოში | 2:0 |
| მარიტიმუ-რიუ ავე | 0:1 |
| ბრაგა-ნავალი | 0:0 |
| პორტუ-სეტუბალი | 2:0 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტილბურგი-როდა | 1:3 |
| ვიტესი-უტრეხტი | 2:2 |
| დენ ჰააგი-ჰერაკლესი | 1:4 |
| სპარტა-გრონინგემი | 2:4 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვოლენდამი-ჰაარლემი | 5:0 |

**ბელგია. პროლიგა**

| | |
|---|---|
| ვარეგემი-სერკლი | 1:0 |
| გენტი-გენკი | 2:1 |

**ავსტრია. I ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| შტურმი-აუსტრია | 2:2 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-ქსანთი | 1:0 |
| ლარისა-პანიონიოსი | 2:2 |
| კავალა-პაოკ | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-პანთრათიკოსი | 3:0 |
| აეკ-ლევადიაკოსი | 3:2 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ისტამბული-ქაისერი | 1:2 |
| ბურსა-ანკარა | 3:0 |
| გენჩლერი-გაზიანთები | 1:1 |
| დიარბაქირი-ქაშიმფაშა | 2:2 |
| სივასი-ერჩიესი | 2:1 |
| დენიზლი-ტრაბზონი | 0:1 |
| მანისა-ბეშიქთაში | 1:1 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასი**

| | |
|---|---|
| ლეგია-არკა | 1:0 |
| იაგელონია-ბელხატოვი | 2:1 |

**არგენტინა. პრიმერა**

| | |
|---|---|
| არგენტინოსი-ურაკანი | 5:1 |
| ლანუსი-ინდეპენდიენტე | 0:0 |
| ბოკა-ბანფილდი | 2:0 |
| ოლდ ბოიზი-სან ლორენცო | 0:2 |
| რასინგი-ჩაკარიტა | 0:2 |
| ტიგრე-რივერ პლეიტი | 0:2 |
| ველეჟი-როსარიო | 1:2 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ტორონტო-ჰიუსტონი | 101:88 |
| ატლანტა-ნიუ ჯერსი | 130:107 |

*ზაზა ფაჩულია: 7 ქულა, 8 მოხსნა*

| | |
|---|---|
| მაიამი-მემფისი | 90:118 |
| ოკლაჰომა-კლივლენდი | 89:102 |
| კლიპერსი-სან ანტონიო | 90:115 |

### ხელბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| კონგო-ტაილანდი | 32:24 |
| ტუნისი-კოტ დივუარი | 39:27 |
| გერმანია-ავსტრია | 29:26 |
| ყაზახეთი-ჩილე | 32:26 |
| უკრაინა-ბრაზილია | 30:36 |
| ს.კორეა-უნგრეთი | 28:28 |
| რუსეთი-საფრანგეთი | 23:24 |
| შვედეთი-ავსტრალია | 66:21 |
| იაპონია-არგენტინა | 24:25 |
| ჩინეთი-ნორვეგია | 19:34 |
| დანია-ანგოლა | 23:28 |
| რუმინეთი-ესპანეთი | 25:26 |
| კონგო-ავსტრალია | 33:22 |
| იაპონია-კოტ დივუარი | 32:31 |
| ბრაზილია-ტაილანდი | 44:19 |
| ტუნისი-ყაზახეთი | 33:20 |
| არგენტინა-ჩილე | 22:16 |
| შვედეთი-უკრაინა | 34:31 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ჩიკაგო-ტამპა ბეი | 4:0 |
| კოლორადო-კალგარი | 3:2 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## დღის კალენდარი

**15 დეკემბრისთვის**



წლის 349-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 16 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

28-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.

ამბაკოსი (VI ს. ქრ.შობამდე); წმიდა მამისა ჩვენისა ისე წილკნელ ეპისკოპოსისა - ათცამეტ სირიელ მამათაგანისა (VI), მოწამე მიროპიასი (დაახლ. 251). ღირსი იოანესი, ირაკლემონისა, ანდრიასი და თეოფილესი (IV).

წმიდა წინასწარმეტყველი ამბაკო ძველი აღთქმის 12 მცირე წინასწარმეტყველთაგანია. წარმოშობით იგი სვიმეონის ტომიდან იყო და დაახლოებით 650-ე წელს მოღვაწეობდა ქრისტეს შობამდე. წმიდა ამბაკომ იწინასწარმეტყველა იერუსალიმის ტაძრის დანგრევა, ბაბილონის ტყვეობა ისრაელის ერისა და შემდეგ ტყვეთა სამშობლოში დაბრუნება.

წმიდა მოწამე მიროპია დაიბადა ქალაქ ეფესოში, III საუკუნის დასაწყისში. იგი ადრე დაობლდა მამით და ღვთისმოშიშმა დედამ ქრისტიანული რწმენით აღზარდა ასული. ერთხელ კუნძულის სასტიკი განმგებლის ბრძანებით ტანჯვა—წამებით მოაკვდინეს წმიდა მოწამე ისიდორე მხედარი. წმიდა მიროპიამ ფარულად აიღო მისი სხეული და მიწას მიაბარა. ამისთვის ის სასტიკად აწამეს.

ღირსი მამა ისე, წილკნელი ეპისკოპოსი, ცამეტ ასურელ მამათაგანი, დაიბადა სირიის ქალაქ ანტიოქიაში. როცა სრულწლოვანებას მიაღწია, მშობელთა ლოცვა-კურთხევით, ანტიოქიის ერთ-ერთ სავანეში წავიდა, სადაც ღირსი იოანე ზედაზნელი მოღვაწეობდა. 13 სირიელ მამასთან ერთად ისე საქართველოში ჩამოვიდა, სადაც ის წმიდა მამებთან ერთად ხალხს რწმენას ულრმავებდა. შემდეგ მთავარდიაკვანი ისე წილკნის კათედრაზე დაადგინეს. დიდი ღვაწლის შემდეგ მან უფალს მიაბარა სული. ეს მოხდა VI საუკუნეში.

**დაიბადნენ:**

1734 — ჯორჯ რომნი, ინგლისელი მხატვარი. გარდაიცვალა 1802 წელს.

1832 — გუსტავ ეიფელი, ფრანგი ინჟინერ-მშენებელი. ეიფელის კოშკის ავტორი. გარდაიცვალა 1923 წელს.

1852 — ანრი ანტუან ბეკერელი, ფრანგი ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1908 წელს.

1924 — ანა კალანდაძე, პოეტი-აკადემიკოსი. პარდაიცვალა 2008 წელს.

1930 — ნოდარ მამისაშვილი, კომპოზიტორი, თეორეტიკოსი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

1944 — ჯემალ ბჟალავა, მოქანდაკე.

**გარდაიცვალნენ:**

1897 — ალფონს დოდე, ფრანგი მწერალი.

1921 — შარლ კამილ სენსანსი, ფრანგი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი.

1958 — ვოლფგანგ პაული, შვეიცარიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1966 — უოლტ დისნეი, ამერიკელი მულტიპლიკატორი.

**მოვლენები:**

1791 წელი — აშშ-ში ამოქმედდა ბილი უფლებათა შესახებ.

1948 წელი — ფრედერიკ ჟოლიო-კიურის ხელმძღვანელობით ამუშავდა პირველი ფრანგული ატომური რეაქტორი.

1961 წელი — იერუსალიმის სასამართლომ ნაცისტ დამნაშავეს ადოლფ ეიჰმანს ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

1981 წელი — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გენერალურ მდივნად პერუელი დიპლომატი პერეს დე კუელიარი აირჩია.

1989 წელი — რუმინეთში რევოლუცია დაიწყო.

**დიდსახსოვარი დღეები:**

მალაიზია - სულთნის დღე;

ჰოლანდიის ანტილიის კუნძულები - სამეფოს დღე

**მედიანიუსი**

## ევროპის უმაღლესი კინოჯილდო „თეთრ ლენტს“ ხვდა წილად



ავსტრიელი რეჟისორის, მიქაელ ჰანეკეს ფილმი „თეთრი ლენტი“ ევროპის კინოაკადემიის სამი ჯილდოთი აღინიშნა. კინოაკადემიის საიტზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მან საუკეთესო ფილმის, საუკეთესო რეჟისურისა და საუკეთესო სცენარის პრიზები მოიპოვა.

ფილმის მოქმედება პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გერმანულ პროტესტანტულ სოფელში ვითარდება. იდუმალებით მოცული მკვლელობების სერია ადგილობრივ ბავშვებთან არის დაკავშირებული, რომლებიც ოჯახებში სასტიკი მოპყრობის მსხვერპლი ხდებიან.

მანამდე „თეთრმა ლენტმა“ კანის ფესტივალის „ოქროს პალმის რტო“ მოიპოვა, ხოლო გაზეთ „თაიმსის“ ამასწინანდელ რეიტინგში მიქაელ ჰანეკეს სხვა ფილმი „დაფარული“, XXI საუკუნის საუკეთესო ფილმებს შორის პირველ ადგილზე დაასახელა.

ქალის საუკეთესო როლის პრიზი ბრიტანელმა მსახიობმა „მკითხველი“ დაიმსახურა. საუკეთესო მსახიობად ტაჰარ რაჰიმი გამოაცხადეს, რომელმაც რეჟისორ ჟაკ ოდიარის ფილმში „მოციქული“ ითამაშა. მაყურებლის სიმპათიის პრიზი ფილმმა „მილიონერი ჯურღმულებიდან“ მოიპოვა.

საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმად პოლონელი რეჟისორის, მარსელ ლოზინსკის „მოთხოვნამდე“ აღიარეს, საუკეთეოს ანიმაციურ ფილმად ფრანგულ-იტალური მულტფილმი „მია და მიგუ“.

კინემატოგრაფში განსაკუთრებული მიღწევების სპეციალური პრიზებით დააჯილდოვეს ფრანგი მსახიობი იზაბელ იუპერი და ევროპული მწვავე სოციალური ფილმის ოსტატი, რეჟისორი კენ ლოუჩი.

ევროპის კინოაკადემია 1988 წელს დაარსდა, მისი პირველი პრეზიდენტი ინგმარ ბერგმანი იყო. კინოაკადემია 2000-მდე პროფესიონალს აერთიანებს.

ევროპის კინოაკადემიის პრემია ევროპის ერთ-ერთ მთავარ კინოჯილდოდ ითვლება. ამერიკული „ოსკარისაგან“ განსხვავებით, რომელიც ძირითადად კომერციული თვალსაზრისით წარმატებულ ფილმებზეა ორიენტირებული, ევროპული კინოაკადემიის გამარჯვებულის გამორკვევის დროს ძირითადად ფილმის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მნიშვნელობას აფასებენ.

ევროპის კინოაკადემიის პრემიების რიგით 22-ე გადაცემის ცერემონიალი გერმანიის დასავლეთით, ბოხუმში გაიმართა.

## დამლაგებლებს ბანკირებზე 10-ჯერ მეტი სარგებლობა მოაქვთ



In this report nef calculates the value to society of a number of different jobs and advocates a fundamental rethink of how the value of work is recognised and rewarded.

ბრიტანული ორგანიზაციის „ნიუ ექონომიქ ფაუნდეიშნის“ გამოკვლევის თანახმად, რომელიც მოგვიანებით სამაუწყებლო კორპორაცია ბიბისიმაც გაავრცელა, საავადმყოფოების სანიტრებსა და დამლაგებლებს ბანკირებზე მეტი სარგებლობა მოაქვთ.

როგორც ირკვევა, საავადმყოფოების დამლაგებლები მათთვის გადახდილი თითოეული გირვანქის სანაცვლოდ 10 გირვანქის დამატებულ ღირებულებას აწარმოებენ, ხოლო ბანკირებს ყოველ გადახდილ გირვანქაზე 7 გირვანქა სტერლინგი ზარალი მოაქვთ.

როგორც მკვლევრები ამტკიცებენ, სწორედ ბანკირები და სადაზღვევო კომპანიები არიან დამნაშავე იმ საზოგადოებრივ კამპანიებში, რომლებიც „ზემოხმარებას“ უწევენ პროპაგანდას. მათგან განსხვავებით, ძიძებს და აღმზრდელებს, გარდა ამისა, ნარჩენების გადამამუშავებლებს ხაზინაში წმინდა მოგება შეაქვთ.

„ნიუ ექონომიქ ფაუნდეიშნის“ წარმომადგენლების თქმით, ამა თუ იმ მუშაკის შრომის ანაზღაურების ოდენობა ხშირად მის მიერ შესრულებული სამუშაოს ჭეშმარიტ ღირებულებას არ ასახავს. საზოგადოებას ანაზღაურების ახალი ფორმა ესაჭიროებათ, რომელიც სოციალური სარგებლობის მომტან მუშაკებს წაახალისებს და არა იმათ, ვინც მოგებას საზოგადოების ან გარემოს ხარჯზე ქმნის.

მკვლევრებმა ექვსი სპეციალობა და მათ მიერ შექმნილი პროდუქცია შეადარეს ერთმანეთს. ბანკირებმა, რომლებიც წელიწადში ნახევარი მილიონიდან 80 მილიონამდე გირვანქა სტერლინგს იღებენ, მიღებულ თითოეულ გირვანქაზე ქვეყანა 7 გირვანქით აზრალეს. ბიუჯეტისათვის მავნე პროფესიებად გარდა ამისა, აღიარეს რეკლამის სფეროს წარმომადგენლები და გადასახადების საკითხების ადვოკატები.

ძიძები და აღმზრდელები, თავის მხრივ, ბავშვებზე ზრუნვის მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ და მშობლებს მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას აძლევენ. ხელფასის სახით მიღებულ თითოეულ გირვანქა სტერლინგზე ისინი 9.5 გირვანქა დამატებულ ღირებულებას ქმნიან.

ჯანდაცვის სისტემაში სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციას ასრულებენ აგრეთვე დამლაგებლები და სანიტრები. გარდა სისუფთავისა და ჰიგიენური პირობების დაცვისა, ისინი ჯანდაცვის სისტემას უჭერენ მხარს. ყოველ გადახდილ გირვანქა სტერლინგზე მათ 10 გირვანქა მოაქვთ.

მკვლევრები პოლიტიკოსებს შრომის ანაზღაურების გაწონასწორების მიზნით გარკვეული ზომების მიღებისკენ მოუწოდებენ. მათი აზრით, შრომის ეფექტურობა იმ სოციალური და ეკოლოგიური სარგებლობით უნდა გაიზომოს და გარდა ამისა, დაბეგვრის უფრო პროგრესული მეთოდი უნდა დაინერგოს.

## ადვოკატები რომან პოლანსკის საქმის დახურვას მოითხოვენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ისინი ამტკიცებდნენ, რომ 1978 წელს საქმის განხლის დროს ამჟამად განსვენებული ლოს-ანჯელესელი მოსამართლე „კულისებს მიღმა ინტრიგებში“ მონაწილეობდა.

პოროკურორი ფილის ასაიამა თავის მხრივ ამტკიცებს, რომ პოლანსკი აშშ-ში უნდა დაბრუნდეს და საქმის დაუსწრებლად განხილვას შეუძლებლად მიიჩნევს.

მისი აზრით, ნებისმიერი შუამდგომლობა დაშვებული დარღვევების შესახებ სასამართლოს მხოლოდ განსასჯელის დაბრუნების შემდეგ შეიძლება წარუდგინონ.

მანამდე, მიმდინარე წლის დასაწყისში პოლანსკის წარმომადგენლებმა ანალოგიური შუამდგომლობა საქმის დახურვის თხოვნით ლოს ანჯელესის სასამართლოში წარადგინეს.

მოსამართლე პიტერ ესპინოზამ პოლანსკის დაკავებისას დაშვებული „მნიშვნელოვანი დარღევები“ აღიარა, ამასთან,დაადგინა, რომ საქმის დახურვის შუამდგომლობა პოლანსკიმ პირადად უნდა წარადგინოს.

2003 წელს პოლანსკიმ ფილმისათვის „პიანისტი“ საუკეთესო რეჟისურის ოსკარი მოიპოვა.

მისი ბოლო ნამუშევრის, ფილმ „მოჩვენების“ პრემიერა ბერლინის კინოფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## ჩილეს პრეზიდენტის არჩევნებში მილიარდერმა გაიმარჯვა

ჩილეში პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში გამარჯვება მილიარდერ სებასტიან პინერას დარჩა. მიუხედავად ამისა, მან მეორე ტურის თავიდან აცილებისათვის საკმარისი ხმების შეგროვება ვერ მოახერხა.

ბიულეტენების დათვლა პრაქტიკულად დასრულებულია. არჩევნებში მონაწილეობა 8 მილიონამდე ჩილელმა მიიღო. მემარჯვენე ცენტრისტული ძალების კანდიდატს ხმა ამომრჩევლების 44%-მა მისცა, რაც გამარჯვებისათვის საჭირო 50%-ზე ნაკლებია.

არჩევნების მეორე ტურში, რომელიც იანვარში უნდა გაიმართოს, მისი მეტოქე იქნება მემარცხენე ცენტრისტული კანდიდატი, ყოფილი პრეზიდენტი ედუარდო



ფრეი. 67 წლის ფრეის ათწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ პრეზიდენტის პოსტის დაკავება სურს.

სებასტიან პინერა 60 წლისაა. იგი სატელევიზიო არხის მფლობელია, გარდა ამისა, ერთ-ერთი წარმატებული საფეხბურთო კლუბის მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის. მის აქტივში ირიცხება აგრეთვე სხვადასხვა საწარმოებში დაბანდებული მილიონობით დოლარი.

მისი წინასაარჩევნო კამპანიის მთავარ იდეას მართლწესრიგის განმტკიცება და ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლების საქმეში ბიზნეს-საქმიანობის დროს დაგროვილი გამოცდილების გამოყენება წარმოადგენდა. საარჩევნო დაპირებების თანახმად, პრეზიდენტობის კანდიდატი ჩილეს ერთიანი შიდა პროდუქტის წელიწადში 6%-ით ზრდას გულისხმობს.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩილეს მემარცხენე ცენტრისტები მართავდნენ. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, პინერას გამარჯვების შემთხვევაში პირველად გასული 51 წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში კონსერვატორები არჩევნების საშუალებით მოვლენ და 1990 წელს დიქტატორ აუგუსტო პინოჩეტის გადადგომის შემდეგ კიდევ ერთხელ მოვლენ ხელისუფლების სათავეში.

პინერასათვის ეს არჩევნები პირველი არ არის. 2006 წელს იგი მემარჯვენე ცენტრისტულ კოალიციას ხელმძღვანელობდა, მაგრამ ხალხში უაღრესად პოპულარული მიშელ ბაჩალეტის სოციალისტებთან ბრძოლაში დამარცხდა.

ბაჩალეტს პრეზიდენტის პოსტი ამჟამად უკავია და კონსტიტუციის თანახმად არჩევნებში კვლავ მონაწილეობის უფლება

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. წმინდა ოქრო; 2. მდინარის მონატანი სილა, თიხა, ღორღი; 3. დედამიწის აგებულებისა და შედგენილობის შემსწავლელი მეცნიერება; 4. ნატურალური სიდიდის სხეულის ან მისი ნაწილების მოდელი თვალსაჩინოებისათვის; 5. ყურძნის დასაწური გულამოღებული ხის მოგრძო ჭურჭელი; 9. უსინათლოთა შრიფტის შემქმნელი ფრანგი ტიფლოპედაგოგი; 12. მოხატული ან ორნამენტით შემკული ჭერი; 14. ბუდისტთა საკულტო ნაგებობა ჩინეთსა და იაპონიაში; 15. ყველაზე დაბალი რეგისტრის, ჩასაბერი, სპილენძის მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. მამალი ცხვარი; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო.

**თარაზულად:** 6. სოფელი ხევსურეთში; 7. ფარიკაობის ძველი ქართული სახელწოდება; 8. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 10. დაუსაბუთებლად, ბრმად მიღებული დებულება; 11. ფუნდამენტალური სამეცნიერო ნაშრომი; 13. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ყოველწლიური წერილობითი მიმართვა მოსახლეობისადმი; 16. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 19. ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე; 20. მხარე გერმანიაში.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. კასანდრა; 6. სტაფილო; 8. ფანტომი; 10. კარუსელი; 11. პარადი; 13. კრიტიკა; 16. პირამიდა; 18. რემბო; 19. ამება; 21. გარსია; 22. ატრიბუტი; 23. ბრელოკი.

**შვეულად:** 1. პარაგვაი; 2. ადანი; 3. კარამელი; 4. სონეტი; 7. ამური; 9. იდიში; 12. აკრობატიკა; 14. გინესი; 15. კამლოტი; 17. ბენზოლი; 20. მარტი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ალეკ; 2. იდიია; 3. აბსენთი; 4. კაპა; 5. ფუთი; 6. კამა; 7. კაფე; 8. რა; 9. პას; 10. კარმა; 11. კალორია; 12. პირანია; 13. ალიე; 14. რამფისი; 15. ნოე; 16. კოინე; 17. არტერია; 18. ლისტი; 19. ოდინი; 20. ენა; 21. ლეო; 22. სარი; 23. ტუტსი; 24. ასტამი; 25. ტანტრე; 26. ემუ; 27. ვია; 28. ტრიუმო; 33. „ჟერმინალი“; 34. ოქრო; 25. პრესტიჟი.

**სურათებზე:** სიმონა სინიორე; ჟან მარე.

# ბელგრადიდან სარაევოსაკენ პირველი მატარებელი გავიდა

სერბიისა და ბოსნიის დედაქალაქებს შორის იუგოსლავიის ომის გამო 17 წლის წინ შეწყვეტილი სარკინიგზო მიმოსვლა აღდგა. სარკინიგზო ხაზი საომარი მოქმედებების შედეგად დაზიანდა.

შაბათს რეისში გასული პირველი მატარებელი მხოლოდ



სამი ვაგონისაგან შედგებოდა. მატარებლით 17 მგზავრი მგზავრობდა, მათგან ცხრა ბელგრადიდან სარაევოსაკენ მიემგზავრებოდა.

დღეისათვის ორ ქალაქს შორის მგზავრობას ომამდელთან შედარებით 2 საათით მეტი დრო სჭირდება, რაც ლიანდაგის ცუდი მდგომარეობით არის განპირობებული.

რკინიგზის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ სარკინიგზო მაგისტრალი, რომლითაც ომამდე ბიზნესმენები და სამთო თხილამურების მოყვარულები სარგებლობდნენ, საშობაო და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით კვლავ პოპულარული გახდება.

1970-80-იან წლებში ეს სარკინიგზო მაგისტრალი იუგოსლავიის „ოქროს ერას" სიმბოლოს წარმოადგენდა, სიმბოლოს იმისას, რასაც იოსიფ ბროზ ტიტო ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ექვსი რესპუბლიკის „ძმობას და ერთიანობას" უწოდებდა.

მაგრამ სერბებს, ხორვატებსა და ბოსნიელ მუსლიმანებს შორის სისხლისმღვრელი ომების, ეთნიკური შუღლის პერიოდში მატარებლების მოძრაობა შეწყდა, საომარი მოქმედებების შედეგად ლიანდაგები რამდენიმე ადგილას დაზიანდა.

საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ სერბისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას შორის ურთიერთობის ხარისხი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესაძლებლობის საშუალებს არ იძლეოდა.

მიუხედავად ამისა, ბალკანეთში ბევრი იმედოვნებს, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ყოფილი იუგოსლავიური რესპუბლიკების შერიგების რთულ და მტკივნეულ გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯად შეიძლება იქცეს.

ერთ-ერთი მგზავრის თქმით, უკანასკნელად მან ბელგრადი-სარაევოს მატარებლით 1987 წელს იმგზავრა.

# კვიპროსის ყოფილი პრეზიდენტის ცხედარი საფლავიდან დაიკარგა

კვიპროსის პოლიციამ რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტის, ტასოს პაპადოპულოსის საფლავიდან მისი ცხედრის გაუჩინარების შესახებ გამოაცხადა.



კვიპროსის ხელისუფლების განცხადებით, უცნობმა პირებმა ქვეყნის ყოფილი ლიდერის ცხედარი ქალაქ ნიქოზიის სასაფლაოდან პარასკევს ღამით გაიტაცეს.

მემარჯვენე ცენტრისტული პარტიის ლიდერმა მარიოს გაროიანმა სააგენტო ფრანს პრესის ინტერვიუში ცხედრის დაკარგვას „საშინელი, საზიზღარი დანაშაული" უწოდა.

ტასოს პაპადოპულოსი 2008 წელს 74 წლის ასაკში ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა.

ნიქოზიის დეფტერის სასაფლაოდან მისი ცხედრის დაკარგვა მისი გარდაცვალების წლისთავამდე ერთი დღით ადრე აღმოაჩინეს.

გამტაცებლების მოტივი უცნობია.

კვიპროსის ბერძნული ნაწილის ვეტერანი პოლიტიკოსი პაპადოპულოსი პრეზიდენტად 2003 წელს აირჩიეს. 2008 წელს მან თავისი კანდიდატურა მეორედ წამოაყენა, მაგრამ დემეტრიოს კრისტოფიასთან, კოალიციის ყოფილ პარტნიორთან ბრძოლაში დამარცხდა.

პაპადოპულოსის მთავარ პოლიტიკურ მიღწევად 2004 წელს კვიპროსის ევროკავშირში გაერთიანება ითვლება.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

გივი ჭყოიძის ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს უახლოეს მეზობელსა და მეგობარს, თემურ დავითულიანს საყვარელი დაიკოს

**მზია დავითულიანის**

გარდაცვალების გამო.

სხირტლაძეები და იობაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რაჭაში, სოფელ მრავალძალში ძვირფასი ქალბატონი

**მაყვალა მელაშვილი-სხირტლაძისა**

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ბერლუსკონის გამოჯანმრთელებისათვის რამდენიმე კვირა დასჭირდება

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი მილანის ცენტრში მასზე თავდასხმის შემდეგ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ საავადმყოფოში მოათავსეს.

მისი ექიმის, ალბერტო ზანგრილოს თქმით, მიღებული ტრავმების მოსაშუშებლად ბერლუსკონის რამდენიმე კვირა დასჭირდება.



ზანგრილოს თქმით, ბერლუსკონის ორი კბილი აქვს ჩამტვრეული და ცხვირი აქვს გატეხილი. გარდა ამისა, დაზარალებულმა ბევრი სისხლი დაკარგა.

იტალიის პოლიციამ დამამძიმებელ გარემოებებში თავდასხმის ბრალდებები 42 წლის მასიმო ტარტალიეს წაუყენა. იგი ფსიქიკურად არაჯანსაღია.

პოლიტიკოსის ექიმის თქმით, სილვიო ბერლუსკონის კომპიუტერული ტომოგრაფია გაუკეთეს და ოპერაციის საჭიროება არ არსებობს.

ექიმის თქმით, პრემიერი საავადმყოფში კიდევ რამდენიმე დღე-ღამეს გაატარებს.

მან სახის სერიოზული ტრავმები მიიღო, ორი ჭრილობა ზედა ტუჩზე, ერთი გარედან, მეორე შიგნიდან და ჭრილობებზე მას რამდენიმე ნაკერი დაადეს.

სილვიო ბერლუსკონის მილანის ტაძრის სამახსოვრო მედალი საჯარო გამოსვლის შემდეგ ავტოგრაფების დარიგების დროს უთავაზეს.

როგორც იტალიის სააგენტო „ანსამ" განაცხადა, საავადმყოფოში ერთ-ერთ მნახველთან საუბრის დროს ბერლუსკონიმ ნამდვილი სასწაული უწოდა იმ ფაქტს, რომ თვალი არ დაკარგა.

პარლამენტის სპიკერმა ჯანფრანკო ფინიმ ქვეყნის ყველა პოლიტიკურ პარტიას მოუწოდა, იტალიაში „ძალადობის ეპოქის" დაბრუნება არ დაეშვათ. ულტრამემარჯვენე „ჩრდილოეთის ლიგის" ლიდერმა უმბერტო ბოსიმ მომხდარს შემაშფოთებელი სიგნალი უწოდა.

სილვიო ბერლუსკონის ხუთი წლის წინათაც დაესხნენ თავს. მაშინ, ახალი წლის დღესასწაულის წინ რომში ტურისტმა მას ფოტოაპარატი უთავაზა და ბერლუსკონის სახე ჩაულურჯდა.

როგორც იტალიის პრესა აღნიშნავს, პრემიერის გამოსვლის დროს მოქალაქეთა ერთი ჯგუფი ყვიროდა და უსტვენდა, რის შემდეგაც ბერლუსკონის დაცვამ და ამ ჯგუფმა ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევა დაიწყეს.

თავისი გამოსვლის დროს ბერლუსკონიმ კერძოდ განაცხადა: „ისინი მონსტრად მაცხადებენ, მაგრამ მე მონსტრი არ ვარ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კარგად გამოვიყურები, მეორეც, ურიგო ადამიანი არ ვარ".

თავდასხმის შემდეგ პრემიერის თანხლები პირები მას ფეხზე წამოდგომაზე დაეხმარნენ და მანქანაში ჩასვეს. 73 წლის პოლიტიკოსის სახე სისხლით იყო შეღებილი.

მანქანის ადგილიდან დაძვრის წინ ბერლუსკონი მანქანიდან გადმოვიდა და სახურავზე აცოცებას შეეცადა. ზოგიერთი მიმომხილველის თქმით, ეს ბერლუსკონისათვის ტიპიური ჟესტი იყო, პოლიტიკოსისა, რომელიც პრობლემების წინაშე ფარხმალს არ ყრის.

იტალიის პრემიერ-მინისტრს ბოლო დროს კორუფციისა და საეჭვო კავშირების ახალ-ახალი ბრალდების მოგერიება უხდება.

მიმდინარე წლის ოქტომბერში იტალიის საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა კანონი, რომელიც ქვეყნის ოთხ მაღალი რანგის მოხელეს, პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის ორი პალატის სპიკერებს სასამართლო დევნისაგან იცავდა.

ამ კანონის მიღების შემდეგ შეჩერდა კორუფციისა და გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ბრალდებებით აღძრული რამდენიმე საქმე, სადაც ბერლუსკონის სახელი ფიგურირებდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოწმობს, რომ ბერლუსკონი სასამართლოს წინაშე ორი საქმის ფარგლებში შეიძლება წარდგეს. მათგან ერთ-ერთი კორუფციას ეხება.

გარდა ამისა, ჟურნალისტებისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში ბერლუსკონის პირადი ცხოვრებაც მოექცა — მეძავმა პატრიცია დადარიომ განაცხადა, რომ 73 წლის პოლიტიკოსთან ღამის გატარებისათვის ფული გადაუხადეს. მცირეწლოვან მოდელთან კავშირის ბრალდებების წაყენების შემდეგ კი ბერლუსკონის ცოლმა განქორწინების სარჩელი წარადგინა.

# ირანის ოპოზიციას აიათოლა ჰომეინის შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ



ირანის უზენაესმა ლიდერმა ოპოზიციის წარმომადგენლები ირანის ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებლის, აიათოლა ჰომეინის შეურაცხყოფაში დაადანაშაულა. ეს ქმედება ქვეყნის კანონების დარღვევად ითვლება.

ქვეყნის ამჟამინდელმა სასულიერო ლიდერმა აიათოლა ალი ჰამენეიმ ოპოზიციის ლიდერებს მოუწოდა, გამოარკვიონ, თუ ვინ დგას „იმამ ჰომეინიზე თავდასხმების" უკან.

ეს განცხადება 7 დეკემბერს მომხდარ ინციდენტს მოჰყვა, რომლის დროსაც, სავარაუდოდ, დახიეს პლაკატი ჰომეინის გამოსახულებით.

პოლიციის წარმომადგენლების თქმით, ეს სცენა, რომელიც სატელევიზიო კამერებმა დააფიქსირეს, ინსცენირებული იყო.

მიმდინარე წლის ივნისში ირანის პრეზიდენტის არჩევნების შემდგომი საპროტესტო გამოსვლების გამო ხელისუფლებმა ოპოზიციის მიერ აქციების გამართვა აკრძალეს.

მიუხედავად ამისა, 7 დეკემბერს, როდესაც ირანში სტუდენტების დღეს აღნიშნავენ, ანტისამთავრობო მიტინგის ორგანიზატორებმა მისი გამართვის ოფიციალური უფლება მიიღეს. იმავე დღეს ტელევიზიაში ჰომეინის პლაკატის კადრები მოხვდა.

13 დეკემბერს სატელევიზიო გამოსვლის დროს ირანის უზენაესმა ლიდერმა განაცხადა, რომ არეულობა ცალკეული ადამიანების ორგანიზებული იყო, რომლებიც ირანის მტრებს ისლამური რესპუბლიკის საფუძვლებისათვის ზიანის მიყენების გზას უხსნიან.

აიათოლა ჰამენეიმ ოპოზიციას „სწორ გზაზე" დაბრუნებისაკენ მოუწოდა.

აიათოლა ჰამანეის გაფრთხილება პლაკატთან დაკავშირებული ინციდენტის შესახებ ირანის უშიშროების სამსახურის ელიტურმა ჯგუფმა, ისლამური რესპუბლიკის მცველთა კორპუსმაც აიტაცა.

როგორც განცხადებაში არის ნათქვამი, იმამ ჰომეინის მიმდევრები ვერ შეურიგდებიან დამნაშავეთა მოძებნის, გასამართლებისა და დასჯის შეფერხებას".

ოპოზიციური მოძრაობის ლიდერებმა მირ ჰოსეინ მუსავიმ და მეჰდი ქარუბიმ, რომლებიც არჩევნებში პრეზიდენტის პოსტზე აცხადებდნენ პრეტენზიას, სატელევიზიო კადრებს ნაყალბევი უწოდეს.

მათი თქმით, აქციის მონაწილეები ჰომეინის იდეების ერთგული, თავგამოდებული მომხრეები არიან და ასეთ რამეს არასდროს ჩაიდენდნენ.

# ჩილეს პრეზიდენტის არჩევნებში მილიარდერმა გაიმარჯვა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

არ აქვს. მისი პარტიის კანდიდატი პრეზიდენტის არჩევნებში ედუარდო ფრეი კი მიშელ ბაჩალეტის ანალოგიური პოპულარობით ვერ დაიტრაბახებს.

მესამე კანდიდატია მარკო ენრიკეს-ომინამი, 36 წლის დამოუკიდებელი პოლიტიკოსი მოულოდნელად გამოჩნდა და მემარცხენე ცენტრისტული ბანაკი ორად გახლიჩა. იგი ამტკიცებს, რომ ჩილეს ახალი სახეები, ახალი იდეები სჭირდება.

მეოთხე კანდიდატია ხორხე არატე, ვეტერანი სოციალისტი, რომელსაც ჩილელი კომუნისტები უჭერენ მხარს.

## TV პროგრამა

**სამშაბათი 15 დეკემბერი**

**07.00** ჩვენი დილა **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **11.00** სამოთხის ვაშლები **12.30** სერ. **"ანელიას სახე"** **13.30** დოკ. ფილმი "რიდიმი" **14.00** მეხსიერება – თეატრი: დონ ჟუანი **15.00** სერ. **"პირისპირ"** **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **19.05** "მეხსიერება" – გოგი დოლიძე **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"ანელიას სახე"** **22.00** დიალოგი **23.00** სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** (12) **00.00** ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით: ა) მხ. ფ. **"ლიბესტრაუმი"** (18) ბ) მხ.ფ.**"მკვლელობა რიცხვებით"** (18) (ს. ბალოკი)

**19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** პლანეტა ბასტი-ბუბუ **20.10** მეხსიერება **21.05** სერ. **"პირისპირ"** **22.00** სერ. **"ანელიას სახე"** **23.00** სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** **23.50** მხ. ფ. **"მე სემი ვარ"** (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** კომედი შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფროხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ.**"ანხელის საიდუმლო"** **22.00** ვაბანკი **23.00** სერ. **"ექიმი ჰაუსი"** **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი **"მალენა"** (18) (მ. ბელუჩი)

**08.00** მულტფილმი "კონანი" **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"ენი მწვანე სახურავების მამულიდან"** **15.50** მხ. ფილმი **18.00** სერ. **"ტყუპები"** **19.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **20.00** ზღაპარიყო **20.15** ეტალონი **21.25** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **23.30** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორმაგი თამაში"** **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **12.00** დოკ. ფილმი "მარადონა" **1**-ლი ს. **13.00** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **15.00** იუმორინა **16.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **18.00** სერ. **"ლაბირინთი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** სიმართლის დრო **23.00** სერ. **"კლინიკა"** **00.00**სერ. **"24-5"** **01.00** მხ. ფილმი **"აუზი"** (U) (რ. შნაიდერი) **03.10** ქრონიკა **03.25** სერ. **"კლონი"**

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.45** მხ. ფილმი **"ყალბი პიროვნება"** **10.30, 19.30** სერ. **"ღირსების საქმე"** **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.45** მხ. ფილმი **"მეომრები"** **14.50** პერსონა **15.20** მხ. ფილმი **"ქალური სოლიდარობის ღვთიური საიდუმლოებანი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **19.30** სერ. **21.25** ტელევიქტორინა **23.00** მხ. ფილმი **"ელისაბედი, ოქროს ხანა"** **00.55** მხ. ფილმი **"კალმის ზვიგენები"**

**ერთსულოვნება** **09.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** სატ. არქივიდან **11.00** მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი" **11.30** ერთსულოვანი ოჯახი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"ათოვდა ზამთრის ბაღებს"** **1**-ლი ს. **13.30** კონცერტი **15.10** დოკ. სერ. "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **15.35** მხ. ფ. **"ხევისბერი გოჩა"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** დედა ეკლესია **18.05** სატ. არქივიდან **18.40** მიწათმოქმედი **19.15** მხ. ფილმი **"ათოვდა ზამთრის ბაღებს"** მე-**2** ს. **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** დროის ჩააწერები **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 15 დეკემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825

ევრო —2,4035

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536

რუსული რუბლი — 0,0533

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 3-9 ღამით — -5-!
დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 5-97 ღამით — 0-6
სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — -7-6 ღამით — -17 -4

**ამინდის პროგნოზი 15 დეკემბრისთვის**







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

უებარი წამალია

„სალხინო“ ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს“ ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

''სალხინოს'' შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


# ერთი მედლით იაპონიიდან



ტოკიოში გაიმართა დიდი სლემის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს ნაკრებმაც მიიღო. ამირან ტოტიკაშვილის გუნდი უკვე დაკომპლექტებული იყო და მასში საქართველოს ბოლო ჩემპიონატის (რომელიც ერთი კვირის წინ ჩატარდა) გამარჯვებულები არ შედიოდნენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტურნირი წარუმატებელი გამოდგა ჩვენი ნაკრებისთვის და მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედლის მოპოვება მოახერხეს. ერთადერთი მედალი საქართველოს ნაკრებს ლომერ ჟორჟოლიანმა მოუტანა, რომელიც 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭიდაობდა. პირველ წრეში ჩვენებურმა იუსუფ ალენეზი იპონით დაამარცხა, რომელსაც ბრაზილიელ ლუჩანო კორეა ვაზარით, ხოლო გერმანელი დინო პფაიფერი იუკოთი დააყოლა. ნახევარფინალში ჟორჟოლიანის მეტოქე სამხრეთკორეელი ჰი ტაე ჰვანი იყო და მასთან იპონით დამარცხდა. თურნირის რეგლამენტის თანახმად კი ბრინჯაოსთვის ჭიდაობა არ მოუწია და პირდაპირ მესამე ადგილი მიაკუთვნეს. მედალთან ერთად ჟორჟოლიანს 1.500 დოლარიც ერგო.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ადვოკატები რომან პოლანსკის საქმის დახურვას მოითხოვენ

რეჟისორ რომან პოლანსკის ლოს-ანჯელესელმა ადვოკატებმა განაცხადეს, რომ 1977 წელს არასრულწლოვანთან ინტიმური კავშირის ბრალდებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე უნდა დაიხუროს.

ბრალდების წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ 76 წლის პოლანსკი, რომელიც ამჟამად შვეიცარიაში შინაპატიმრობაში იმყოფება, თავდაპირველად აშშ-ის სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს.

სააპელაციო სასამართლოს კოლეგიამ, რომელიც სამი მოსამართლისაგან შედგება, გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით 90 დღის განმავლობაში უნდა მიიღოს.

რომან პოლანსკიმ მოზარდ გოგონასთან უკანონო ურთიერთობაში დამნაშავედ ცნობის შემდეგ 1978 წელს დატოვა.



რომან პოლანსკის ადვოკატებმა რეჟისორის წინააღმდეგ აღძრული საქმის დახურვა პირველად გასულ წელს სცადეს. მათ თავდაპირველი დაპატიმრების დროს დაშვებული პროცესუალური დარღვევები მოიმიზეზეს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# მერაბ ბერძენიშვილის მემორიალს აფეთქებენ

ეკა ირემაშვილი

**ჯერ იყო და ცნობილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი დავით აღმაშენებლის ძეგლი სასტუმრო „ივერიიდან" დიღომში ისე გადაიტანეს, რომ მოქანდაკისთვის არაფერი უკითხავთ, ახლა კი შემოქმედის მიერ შექმნილ გამარჯვების გრანდიოზულ მემორიალს, რომელიც ქუთაისშია განთავსებული, 20 დეკემბერს კვლავაც მოქანდაკისგან დაუკითხავადააფეთქებენ.**

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოვიდა ინიციატივით, პარლამენტი ქუთაისში გადავიდეს. ეს წინადადება თანდათან აქტიურ ფაზაში შედის და მას რეალურად განხორციელება უწერია. სწორედ მონუმენტის ადგილას მომავალი წლის მაისში უნდა დაიწყოს პარლამენტის შენობის მშენებლობა.

ქუთაისში მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი გამარჯვების მონუმენტი 1980 წლის დასაწყისში დაიდგა, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და გამარჯვებას მიეძღვნა. მემორიალი იმდენად დიდია, რომ მისი დაშლა ვერ ხერხდება, სწორედ ამიტომ სპეციალისტების მიერ მისი აფეთქებაა გადაწყვეტილი. მერაბ ბერძენიშვილის ნამუშევარს უკვე „აალაპეს“ მემორიალის წინ მდგარი



ცხენოსანი, რომელიც სავარაუდოდ ახალგაზრდობის გამზირზე, სპორტის სასახლის შენობასთან გადავა.

ჩვენ ვცადეთ დავკავშირებოდით ბატონ მერაბ ბერძენიშვილს, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ხელოვანი კომენტარის გაკეთებაზე უარს აცხადებს.

# კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. 50-იანი წლების საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 2. ძველებური, დაბალყელიანი, რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 3. სამონასტრო კომპლექსი გურიაში; 4. ვაზის საპატივცემლო საახალწლო დღესასწაული ძველად საქართველოში; 5. ფეოდალი მთავრების სახელწოდება შუასაუკუნეების საქართველოში; 8. უკრაინელი ესტრადის მომღერალი ქალი; 9. სხვადასხვა ფერის მინის მსგავსი, არაგამჭვირვალე მასა ლითონის საგნების დასაფარავად, ემალი; 12. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 14. მწვანეთი მოსილი, წყლიანი ადგილი უდაბნოში; 16. მდინარე ვოლგას არაბული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. ბულგარეთში მდებარე ქართული მონასტერი; 6. ავადმყოფური ღრმა ძილის მდგომარეობა; 7. პატარა დროშა, ალამი; 9. ძველბერძენი მოქანდაკე, სკულპტურა „ბადროს მტყორცნელის“ ავტორი; 10. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 11. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 13. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 15. ბერძნული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. წითელი ფერის ძველებური სახელწოდება; 18. მსხლის ჯიში; 19. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 20. ტკბილი, არომატული სპირტიანი სასმელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

# იუმორი



***

ორმა მეგობარმა მოგზაურობის დროს უამინდობისას ერთი მდიდარი ქვრივის სახლს შეაფარა თავი. 9 თვის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ქვრივის ადვოკატისაგან წერილი მიიღო და ძმაკაცს ტელეფონით ურეკავს:

— გახსოვს, ლაშქრობის დროს ქვრივთან რომ გავათიეთ ღამე?

— მახსოვს.

— გახსოვს, რამდენჯერმე რომ ესტუმრე ოთახში და შემდეგ ტრაბახით ყურები გამომიჭედე, შესანიშნავად გავატარე დროო.

— მახსოვს.

— შენ რა, ჩემი სახელით გაეცანი?

— როგორ გითხრა... ჰო... მოიცა, ბავშვი ხომ არ შეეძინა?

— არა, მაგრამ შეგიძლია მომილოცო. გარდაიცვალა და მთელი თავისი ქონება მე დამიტოვა...

***

— რატომაა, რომ პოლიტიკოსების უმეტესობას ულამაზო, ფრიგიდული ცოლები ჰყავთ?

— ცდები, პირიქით, ულამაზო, ფრიგიდული ცოლების ქმრები მიდიან პოლიტიკაში.

***

— დღეს ერთ მოხუცებულ ქალს ქუჩაზე გადასვლაში დავეხმარე.

— დროულად დაამუხრუჭე?

***

— ხშირად მხოლოდ დაფარულის ნახვის შემდეგ ხვდები, რომ სჯობდა, არ გენახა...

***

— მამაკაცი ყველაზე სუსტი მანქანაა, როდესაც როდესაც სიმპათიური ქალიშვილი მისი ძლიერებით აღტაცებას გამოხატავს...

# ასტროპროგნოზი 15 დეკემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა.**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენი საქმე მშვიდად აკეთეთ. **ტყუპები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კირჩხიბი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ნუ გადაიღლებით. **ლომი** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **ქალწული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **სასწორი** — წარმატებული დღეა, იაქტიურეთ. **მორიელი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **თხის რქა** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ. **მერწყული** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **თევზები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# ხართ თუ არა რომანტიკული ხასიათის ადამიანი

**ტესტი**



*1. უკანასკნელად შეყვარებულს საჩუქარი ყოველგვარი მიზეზის გარეშე აჩუქეთ:*
ა. გასულ თვეში. ბ. გასულ წელს. დ. ერთი წლის წინ.

*2. საწოლში აკეთებთ იმას, რაც მას მოწონს?*
ა. ხშირად. ბ. ხანდახან. გ. ძალიან იშვიათად.

*3. სიყვარულს უხსნით?*
ა. ყოველდღე, ბ. ყოველ კვირა. გ. უფრო იშვიათად.

*4. ეკითხებით, როგორ ჩაიარა დღემ?*
ა. ყოველდღე. ბ. კვირაში ერთი-ორჯერ. გ. უფრო იშვიათად.

*5. მშვიდი საღამო ტელევიზორისა და ბავშვების გარეშე არის ის, რასაც:*
ა. მოუთმენლად ელით. ბ. ძალიან კარგია. გ. ამჟამად არ გესაჭიროებათ.

*6. ეხვევით და კოცნით მას:*
ა. ყოველ დილით. ბ. თითქმის ყოველ დილით. გ. ხანდახან დილაობით.

*7. სხვა ადამიანების თანდასწრებით საყვედურობთ.*
ა. არასდროს. ბ. იშვიათად. გ. როდესაც ამას იმსახურებს.

*8. ტელეფონზე ურეკავთ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ხმა გაიგონოთ:*
ა. ყოველდღე. ბ. კვირაში რამდენჯერმე. გ. უფრო იშვიათად.

**პასუხები** პასუხები შეაფასეთ ა — 2 ქულა. ბ. 1 ქულა. გ. 0 ქულა

0-5 ქულა: განიხილეთ ამ ტესტის შედეგები თქვენს პარტნიორთან და დასკვნები გამოიტანეთ.

6-10 ქულა: სიყვარულში არც ისე რომანტიული ხართ, გადახედეთ იმ საკითხებს, რომლებშიც მინიმალური შეფასება მიიღეთ.

11-16 ქულა: თქვენ რომანტიკული ხასიათის ადამიანი, პარტნიორის მიმართ მზრუნველი და ალერსიანი ხართ.